

ქართველი ეკავალის ნაბი

გინტრიშვის ხელმაწე.

~~ეკავალის ნაბი~~

თბილისი

სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა, ლ.-მელიქოვის ქ., მდივანის სახ., № 12.

1891



ქართველი ეკატერინებუ

ქართველი ეკატერინებუ

კინტრიშის ხეობაზე.

33743



თბილისი

სტამბულის ა. ი. მანსვეტოვისა, ლ.-მელიქოვის ქ., მდივანის სახ., № 12.

1891

Доз. Цензурою. Тифлисъ, 19 Октября 1891 г.

Типографія Я. А. Мансветова. Лор.-Мел. ул. д. Мдивани

მართველი მაკრაჭიანეგი.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, იმას ისიც ეცო-
ლინება, რომ ძველათ, ვიდრე საქართველო მტერთაგან
დაეცემოდა, მინამდის საქართველოს ერთ უმთავრეს ძა-
ლას დასავლეთი საქართველო ოშეადვენდა. ვიდრე ქართვე-
ლებს აქ ფეხი ჰქონდათ გამაგრებულის მინამ მათ მტერი
ცერას აკლებდა. ეს იყო ერთადერთი უმთავრესი სამხედ-
რო ძალა. ჩევნმა მტრებმაც ფარგად იცოდნენ ეს და ამი-
ტომ მათ უმთავრეს ნატერას ის შეადგენდა, რომ საქარ-
თველოსთვის ეს მოხდენილი მხარე ჩამოეგლიჯათ. და მის
შემდეგ ესენი სხვასაც აღვილათ დაიპყრობდნენ და ფეხს
გაიმაგრებდნენ. ოსმალებმა წადილი აღისრულეს: აუარებ-
ლის სისხლის ლერით და დევნა-ოხრებით დაიმორჩილეს
საქართველოს ის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ცნო-
ბილია და ქებული ძველის ძველათ არამც თუ მარტოთ
საქართველოს ისტორიულს წიგნებში, არამედ უცხო ტომთ
მწერალთ ნაწერებშიაც. საქართველოს ალორძინებიდამ ჩევნის მწერლების, გა-
მოჩენილის პოეტების, მთარგმნელების თუ მხედარ-მთავ-
რების სავანე-გმირთა ეს დასავლეთ საქართველოს მხარეა
მიღებული ანუ სამცხე საათაბაგო, უჭარა და სხვანი.

თუ ოდესმე საქართველო იდიდებოდა და სახელოვ-
ნებდა, ვიტყვით თამამად, რომ ყველა ამ დიდების და სა-
ხელოვნების მიმნიჭებელნი და მწარმოებელნი აქაური პი-

რები იყვნენ. მეხუთმეტე საუკუნის გასვლამდის, ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთს ნაშთს ჩვენის ძველის ცხოვრებისას, რომ მას ამ მხრის ბეჭედი არ აჩნდეს. ვერ ვნახავთ ვერც ერთ ძველ ქართულს ხელთ-ნაწერს, რომ ეს წიგნი ან ამ მხარეში არ იყოს, დაწერილი და ან, თუ სხვაგან დაწერილა, ამასაც კი ეს ხსენებული მხარე არ მიმოევლოს.

საბერძნეთის სიახლოების გამო, აქ აღორძინდა ყველაფერი. აქ აღორძინდა ძველის-ძველათ სხვა-და-სხვა ხელოვნება: ქვის მჭრელობა, ჩუქურთმის, მიწით-მზომელობა, ვაჭრობა, *) ექიმობა და სხვანი.

აქვე აღორძინდა ქართული მწიგნობრობა, ტაძრების შენება, მათი ხელოვნება, მხატვრობა; შემდეგ-დროში ქართველთ მწერლები, ბერ-მონოზნები, სასწავლებლები და სხვანი. აქედამ გამოვიდნენ, თათქმის, ყველა ჩვენი დიდებული პირები: შოთა რუსთაველი, დავით საათიშვილელი, შავთელი, იოვა პეტრიძე, გიორგი მთაწმინდელი და სხვანიც მრავალნი, რომელთა მოთველა აქ საჭიროარ არის. ამ მხრის ტაძრების სიმრავლეც ხომ ყველასთვის ჭეშმარიტია; აქ ძველათ აღორძინებული სასწავლებლების ისტორიაც ხომ ცნობილია. კრარა მარტო ერთი ტბეთის სასწავლებელი ზღვნიშნოთ. ტოკლეთ რომ უსთქვათ, ეს მხარე საერთო იყო იმ დიდებისა. და სახელოვნებისა, რაც კი საქართველოს მიენიჭა და აღმოუბრწყინდა დადესმე. ყველაფრის დასაწყისს აქ დაგძლეოდა აღორძინება და ამის შემდეგ იგი იფინებოდა და კრცელდებოდა მთელს საქართველოს კუთხეებში. ასე და ამ გვარათ, დასაულეთ საქართველოს ქართველებს დიდი სამ-

*) არხოლოგიური მრგზაურობა ჭიურია-აჭარაში, დ. ბაჭრაძისა. 1879 წ. პეტერბურგი.

სახური მიუძღვით მთელ ქართველი წინაშე და ამათ
სამსახურს დღესაც კი მოჰყაეს კაცი განცვიფრებაში.
ამიტომაც იყო, რომ, ვიდრე საქართველო დაეცემოდა, მი-
ნამდის ქართველ მეფეების პატივსადებელ და საქებელ
მხარეთ ეს ნაწილი ითვლებოდა. თეითაც უმეტეს ნაწილ
აქეთ სცხოვრებდენ. თითქმის აქ გაძლიერდენ ბაგრატო-
ვანთ დინასტიის წარმომადგენნი.

დღეს კი, ეს ოდესმე დიდებულათ წოდებული მხა-
რე და თითქმის დამბადებელიც ჩვენის ყოვლის დიდების
და სახელოვნებისა, ოსმალთა-მიერ დაპყრობის და დევ-
ნილების მეოხებით დავარდნილა ძირი, აქ ყველაფერი და-
ქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველები, ჩვენი გამო-
ჩენილი მესხნი იმ დროისანი აღარ არიან, რაც ოდესმე ყო-
ფილან. აქ ყველაფერი ქართველებისა ფერფლად ჭრეულა,
აქ მხოლოდ ერთათ ერთი ქართული ენა არსებობს, რო-
მელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასის წევითა და
დაგვით შეუჩახავსთ მაჭმადიანთ ქართველთა. მაღლობა
ლმერთს, რომ ამათ, ამდენის ხნის განმავლობაში, თავი-
ანთი დედა-ენა მაინც დაიცვეს, სხვას ვინ რაღასა სთხოვს.
რაკი აქამდის მოახწიეს ამათ, რაკი ამათ დაიცვეს თავი-
ანთი დედა-ენა და მწიგნობრობაც-კი, ეხლა ჩვენი კალია,
რომ ამ ძველათ ალორძინებულ ერთი შთამომავალთ შეი-
ლებს ყურადღება მიეაქციოთ და შთის განვითარების-
თვის რამე ვიზრუნოთ. ეს იყო თითქმის ჩვენი შამა-შა-
ვების ნატვრა, წადილი და ანდერძი.

ასპინძის ომამდის ქართველებს კიდევ ჰქონდათ იმედი,
რომ ამ მხარეს მეორეთ შემოვიერთებთო, მაგრამ ეს ვერ
მოხდა და ასპინძის ომის შემდევ-კი ქართველთ სამუდა-
მოთ გადაიწყვიტეს იშედი. ამ ხნებამდის კი აქ რამდენი
პატიოსანი ქართველი პირი დაკუშულა ოსმალთ ფაშები-

სა და ბეგებისაგან, რამდენ ქართველს-მქადაგებელს და ქართველობის შეძიებელს მოჰკებია ბოლო, ამას კაცი ვერ მოსთვლის, ვინ აღნუსხავს! დღეს კი ჩვენს მამაპაპებს თავიანთი წადილი და ნატერა აუსრულდათ:—ეს ძელათ ქებული საქართველოს ნაწილი და ოსმალთაგან უწყალოდ დაცემული ქართველობა შემოერთებულია თვის მეგვარომე ქართველებთან და ესენი დღეს ჩვენგან დიდს დახმარებას და შველას საჭიროებენ, მით უფრო, რომ მის მეოხებით გაიგონ თავიანთი წინაპართ თავსგადასავალი, ისტორია, ვინაობა, შთამამაელობა, გაგვიცნან ჩვენ, გაიცნან ქართული ენა, ბწიგნობრობა და ბოლოს შემოგვიერთდნენ ისე, როგორც რიგი და წესია. ყველა ამაების აღორძინების და გავრცელების საჭმე ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ თუ მოვინდომებთ რამეს, მაშინ აქ ყველაფერი გაკეთდება, თუ არა და, ისიც დაეცემა, რაც აქამდის შეუნახავთ მათ ოსმალთ მფლობელობის ქვეშ; ამისი მოვალეები ვართ ჩვენ, ეს უნდა იყოს ჩვენს სამლეოთო ვალათ. თუ ჩვენ გვინდა, რომ წინ წავიდეთ, ქართული ენა არ დაგვეკარგოს, და რამეს დავემგზავსოთ, მაშინ ამ ერის ნაწილს დიდი სამსახური და შემწეობა უნდა აღმოულინოთ. აქ უნდა გაიხსნას სკოლები, აქ უნდა გაფავრცელოთ ქართული წიგნები. ჩვენ უნდა გაეიცნათ იგინი და მათ უნდა გავაცნათ ჩვენი წადილიც. იმედია, რომ ესენიც პატივით მოგვეგებებიან, რადგანაც ყველა მათ მოწინავე პირთაგან დახმარების თხოვნის მეტი სხვა არა ისმის რა.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს დაკარგულ და დიდის ხნით დაშორებულ ძმებში პირველათ და ბაქრაძემ იმოგზაურა და აღწერა. პირველათ ამან გვამცნია ამ ერის ვითარება და საჭმენი. ამ დრომდის-კი ჩვენ მათი სულ არაფერი ამბები ვიცოდით; სამი საუკუნის განმავლობაში

ისე დაუშორდით ერთმანეთსა, ისე მიგვავიწყდა ერთმანეთი, რომ ერთმანერთის არსებობაც-კი აღარ ვიცოდით! ამ ოცი წლის წინეთ ქართველი კაცისთვის რომ გეთქო; ქართველი მაჭიადიანი ვარო, ის გაოცებით შემოგხედავდა. დღეს კი ეს ცოტათი ყველასთვის ცხადი შეიქნა. ცოტათი ჩვენც გავიცანით იგინი და იმათაც გავეიცნეს ჩვენ. იმედია, რომ დღეის შემდეგ უფრო გავიცნობთ ერთმანეთს, რადგანაც წალილი ორსაუ მხრის ქართველებში სჩანს. ჯე იმედებით გატაცებული, მეც წაველ ჩვენს მოძმე მაჭიადიანებში და მოვინდომე მათი გაცნობა და აღწერა. მე გავიცანი ქართველ მაჭიადიანთ მხოლოდ ერთი ნაწილი და ამის აღწერას ახლა აქ წარმოეადგენ.

ქართველთ მაჭიადიანთ შემავალ სამზღვარზე მდებარე პირეელ კარის ბჭეთ დაბა ჩურუქსუ ითვლება, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, ახალ-ქობულეთს. რკინის გზით ბათუმში მიმავალი აქ უნდა გადმოხტეს პირეელათ და მერე ამ ქობულეთიდამ მოუხდება ფეხით და ცხენით მგზავრობა მთელს ქართველთ მაჭიადიანებში.

ქობულეთი მდებარეობს საქართველოს დასაცლეთ ნაწილში, ბათუმის სიახლოეს, ზღვის პირას. ქობულეთში მცხოვრებთ რიცხვი 200 კომლზე მეტია და მთლათ ამ საზოგადოების ნაწილში კი 1000 კომლამდე იქნება, ორივე სქესის 11,000 სულამდის. ამავე ქობულეთში დასახელებულა 130 კომლი რუსები; დღეს ამათგან მხოლოდ 73 სული დარჩენილა, დანარჩენი კი დახოცილან. ვინც დარჩენილა, არც ისინი არიან კარგ დღეში: უმეტესი ნაწილი იმათგანი აეათმყოფები არიან. ყველა ესენი საჩრდინებით მაჭიადიანები არიან, შთამამავლობით, ენით და ზნეჩვეულებით კი ქართველნი, და უმეტეს ნაწილად შინა თუ გარეთ ქართულ ენასაც ხმარო-

ბენ. ამათში ქართული წერა-კითხვაც ბევრმა იცის. ქობულეთი არის პატარა ქალაქი, რომელიც კინტრიშის საბოქაულოში შუაგულ ქალაქად ირიცხება. ამიტომ აქაურ მაჰმადიანთ ქართველები მეურნეობის გარდა ვაჭრობასაც მისდევენ, მაგალითად: აქ ქართველს მაჰმადიანებს აქვთ ფარჩის სავაჭრონი, მეწერიმლის, სხვა და სხვა ავეჯულისა და ჭურჭლის, ამათ ვაჭრობავე გამართული აქვთ ბათუმს, ტრაპიზონს და სტამბოლში. ამაებს გარდა, აქვე არის საჭმელების დუქნები, ოსმალურ წესზე გაწყობილი და ყავახანები, სადაც სალამ-სალამობით წითელ ფეს დახურული ქართველ მაჰმადიანები იკრიბებიან, ყავასა სვამენ, ჩიბუქს სწევენ, ნარდსა თამაშობენ და ამით დროს ატარებენ. აქაურს ყავახანებში ყველგან ქართული ენა არის სახალხო ენად; იშვიათად რომ ოსმალურად ხმა ამოიღონ. თუ იტყვიან რასმე, იმასაც იმ შემთხვევაში, თუ ვინმე სტამბოლელი, ანუ როგორც ესენი ამბობენ, „გრანიცის“ კაცი შეხედათ. აქ ქართულის ენის ასე დაცვის მეოხებით საქმე ისეა დაყენებული, რომ ერთ ყავახანის პატრონს, რომელიც ოსმალოელი თათარია, ქართველ მაჰმადიანებს ქართულად ელაპარაკება.. ასევე სხვა სავაჭრო ადგილებში. აქ მყოფი სხვა ქვეყნის ოსმალოები და ბერძნები მთელს დღეს ქართულს ენაზედ საუბარს არიან იძულებულნი.

აქაურმა ქართველმა მაჰმადიანმა ქალებმა ხომ სულ არ იციან სხვა ენა. თავიანთის დამწყვდეულის ცხოვრებით ფაქიზათ დაუტავთ ქართული ენა და ზნე-ჩეეულება. პირ-ბადე, ტანსაცმელი კი წმინდა ოსმალური აქვთ. აქ ქალი, კაცი, თუ პატარა ბავშვი ყველა ქართულად მღვრის. ამ დღეებში მოვისმინდ ამათი სიმღერა, რომელსაც „ნადურს“ ეძახიან. ზოგიერთს ჩვენებურს უქმე-დღეებს

ინახვენ, მაგალითად 20 იელისს. ამათ წმინდა ელიობა შეინახეს. ერთ ალაგს აქაური ხოჯა იყო, გვარად კობალა-ძე, და იმან სთქვა: ვინც დღეს იმუშავებს ყანაში, იმას ყანა გაუხმებაო. ამაებს გარდა სხვა წმინდა დღესასწაულებსაც უქმობენ და ხშირად სამლეთო და შეწირულებაც იციან. აქაურ ვაჭრების უმეტეს ნაწილსაც დავთრები ქართულად აქვთ ნაწერი-შედევნილი. ძნელად თითო უროლა ვაჭარი მაინც მოიძებნოს მათ შორის, რომელთაც თათრულადა ჰქონდეს ნაწერი; ესეც ახალგაზდებში, რაღვანაც ბათუმის მუფთის ერთგულის მოქმედების მეოხებით, აქ ამ ბოლოს დროს, ქართველ მაჭმალიანთ პატარა ბავშვებში თათრული წერა-კითხვა საკა მარისად გაერცელებულა, და 7—8 წლის ბავშვებსაც კი აქაური მოლა და ხოჯები არაბულ-ოსმალურს წიგნებს აკითხებენ, თუმცა ყმაწვილებს ამ წანაკითხის სულ არაფერი ესმით-ჩა. ეს უცოდნელობა ზოგიერთს ქართველს მოლას და ხოჯასაც ეტყობა. ზოგიერთს ლოცვები ვათქმევინე და დავსწერე, ბოლოს ამისი თარგმანი უსთხოვე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მითარგმნა. ბევრს სულ უბრალოდ თარგმნის შნოც არა აქვსთ, თუმცა ქართულს თათრულზე გაცილებით კარგათ ლაპარაკობენ და ამათი დედა ენა ქართული ენა არის.

ამ დღეებში, აქაურს მაჭმალიანს ქართველს ვაჭრებსა და მოხელეებს სიტყვა გავუკარ, რომ კარგი იქნება თქვენს შვილებს ასმალურს გარდა, ქართულსაც ასწავლიდეთ მეთქი. — რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს და ასე ბლომად დასახლებულს ქართველს თათრებში საჭიროც არის, რომ ქართულსაც ვასწავლიდეთო, მაგრამ კაცი არა გვყავს, რომ ამ საქმეში გვიპატრონოს და როგორმე სკოლა გაგვიმართოს. ერთმა სთქვა: ჩემს,

შვილს რომ ეინმეგ ქართული და რუსული ასწავლოს, მის სამაგიეროს წელიწადში 40 მანეთს გადავიხდი, მაგრამ ბათუმში კი ვერ გავგზავნი, რადგანაც იქ თვეში თითო ბავშვს 15 მან. მოუნდება და მე სად მაქვს იმდენი შეძლება, რომ იქ გადავიყვანო ბავშვებიო. ასევე ემართებათ სხვა მაჰმადიან ქართველებსაც. შეუძლებლობის გამო თავიანთი შვილები სულ ვერ მიჰყავთ ბათუმის ქართველების სკოლა, ერთს წელიწადში ოთხმოცს ყმაწეილზე მეტი მოგროვდებაო. ამ საქმეს რომ ჩვენმა წერა-კითხვის საჭოგადოებამ შოპკიდოს ხელი და სკოლა დაგვიარსოს აქა, ამ საქმეში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასაო; ჩვენის შვილებისთვის ხოჯას თუ ვიყოლიებთ, რომ თათრული ასწავლოს, იმას ჩვენს ფულს მივცემთო. აქა გვაქვს ჩვენ შეკრებილი 500 მ., რომელიც ჩვენს ბოქაულს აბარია, ამასაც ამ სკოლის სასარგებლოდ გადავდებთ და იმისს სახლს მოხმარდესო. ამას გარდა, არც სხვა ხარჯის გადახდას ავარიდებთ პირს, თუკი ასეთს ვალს დაგვდებს ეინმე და ქობულეთში სკოლას მოგვიხერხებსო. ასეთივე ნატერა განაცხადა ქობულეთის ქართველმა ხოჯამ, გვარად კობალაძემ. ეს კობალაძე ოცდა-ჩეიდმეტი წელიწადია რაც ხოჯათ არის. არაბული წერა-კითხვა კი ვიციო, სთქვა, მაგრამ საუბედუროდ, ქართული-კი არა, თუმც ამ ათის წლის წინადაც-კი მსურდა, რომ ქართული შემესწავლაო; მე მაქვს არაბულს ენაზე ჩენ ნებური სახარება, დაუითნი და სამოციქულო, ეკითხულობ, ხოლო მსურდა, რომ ესენი ქართულს ენაზე წამეკითხა და გამეგო რამე, მაგრამ ერთი კაცი ვერ უნახე, რომ ან კითხვა ესწავლებინოს ჩემთვის და ან ერთი პატარა ტალიფაბეი (ანბანი) მოეცაო.

მე გადავეცი ქართული ანბანი, იმან მიიღო კი, მაგრამ სთქვა, ახლა მე აღარ შემეფერება ამის სწავლაო. პატარა ყმაწვილებისათვის- კი დიდი სამღლო საქმე იქნება, თუ აქ სასწავლებელი დაარსდაო. ამავე ხოჯას ქობულეთში, ანუ, როგორც ძეელათ უწოდებენ, ჩურუქსუს პატარა სკოლა აქვს და ქართველ მაჰმადიანთ პატარა შეილებს არაბულს წერა-კითხეას და ლოცვებს ასწავლის. ეს ხოჯა ქობულეთში გრ. გურიელს შეხვდა, ლაპარაკი ჩამოაგდეს და გამოსჩნდა, რომ ძეელად ესენიაზნაურები ყოფილან.. ხოჯამ სთქვა, რომ ჩვენ ჩვენი საგვარეულო ეკულესია გვაქვსო. ამაზე გურიელმა მიუგო: ხოჯა! ეგ სულ ერთია, როგორც გინდათ ისე ილოცეთ, ოღონდ თქვენს სამშობლო ენას კი ნუ დაივიწყებთო, ს ხოჯა საკმარისად ფანატიკიც ყოფილა. ერთ დღეს იმან იქადაგა: საქმე ის კი არ არის, რომ თათრის სჯული თათრის სახელმწიფოში შეინახოთ, საქმე ის არის, რომ აგერ აქ, ამ ქრისტიანეთ ახლო მდებარე სოფლებშიო.

სხეათა მრავალთა შორის, რომელნიც მუდმივ მფარველობასა და თანაგრძნობას აღმოუჩენენ. ამათის თხოვნით და დავალებით: ვიტყვით, რომ საერთოდ ესენი დიდს ნატერას, დიდს სურვილს და თანაგრძნობას აცხადებენ, თუ აქ ქობულეთში ქართველ მაჰმადიანებისთვის სკოლა დაარსდა. ამას შესახებ „წერა-კითხეის საზოგადოებასაც“ მიუვა თხოვნა და იმედი აქვთ: რომ უყურადლებოთ არ დასტოებენ ჩვენს თხოვნასა და ქართველ მაჰმადიანთა პატარა ყმაწვილების განათლების საქმეს ჯეროვანს თანაგრძნობას აღმოუჩენენ.

ქობულეთში მე ქართველ მაჰმადიან გულ-აღა-კაკაცოლლისთან ვიყავი ჩამომხტარი. აქ ქართველი მაჰმადიანები ჩემს წიგნებს ახლოც არ ეკარებოდნენ, შემდეგ კი, რაკი

ნახეს, მათ რომ მასში ჩვენებური ლექსებია დაბეჭდილი, მაშინ კი თხოვნაც დამიწყეს. ბევრს ალაგას ყმაწვილს, დიდს, თუ სხვას ვისმეს თხოვნით, თუ ისე ვურიგებდი; ბევრს ამათ-განს ძრიელ მოსწონდათ; ზოგნი კი ეჭვს აცხადებდნენ: ეგ წიგნები, ძმობილო, თქვენებურია, ქართულიო, ჩვენ არ გამოგვადგებაო. პირველ დღეს ხოჯას ლაპარაკი და ჯავრობა დაეწყო. ჩემი სოფლად წასვლა რომ გაეცო, უფ-რო სჯავრებდა,—რათ მოსულა აქაო, აქ რა ხელი აქვს მაგის წიგნებსაო? მე გავიცანი ხოჯა და დაეარწმუნე, რომ ჩვენ ქართველები თქვენი ძმები ვართ, ენა ჩვენი ქართუ-ლია, ორივე ქართულად ვლაპარაკობთ, ამიტომ მოვალე-ნი ვართ, რომ ერთმანეთს ძმურად მოვეპყრათ და ერთმა-ნეთი შავიყვაროთ. დიახო, სთქვა მან. მე დავიწყე მასთან სიარული, ჯამეში წასვლა, ზოგიერთი ლოცვები დავიწყე-რე და ამის შემდეგ კი ხოჯა ეჭვის თვალით ალარ მი-ყურებდა.

II

კინტრიშის-ხეობა გათუმის თლქის პირველ ნაწილს შეადგენს. ეს მხარე უკანასკნელ ომის დროს იქმნა შემო-ერთებული საქართველოსთან და ჩვენთვის ბევრნაირ მხრით არის საყურადღებო. ქართველს საზოგადოებას, თუ რამ სწადიან ქართველთ მაჰმადიანთ სასარგებლოდ, ამ ხეობის ერთ შუაგულ ადგილს ქართული სკოლა უნდა დაარ-სოს. ეს შუა გული არის ამ ხეობის პატარა ქალაქი ჩუ-რუქსუ, ანუ როგორც დღეს უწოდებენ, ახალი ქობულე-თი. ძველი ქობულეთი სოფელია და ამ ხეობაზე მდება-რეობს, ესეც მეტათ მოხდენილს ადგილზე.

თუ ჩვენს ქართველობაში მცირედ მაინც დარჩენილა სიყვარული აქაურ ქართველებისა რომელთა რიცხვი დღეს ას-ორმოც-და-ათი ათასამდეა, სამასამდე სოფელია და რამ-

დენიმე დაბა და ქალაქი უჭირავთ, უნდა ვეცადოთ, რაიმე ლონის-ძიება მოეიპოვოთ და ამ კინტრიშის ხეობის შეულს მდებარე ქალაქ ქობულეთში (ჩურუქსუ) ქართული სკოლა გავმართოთ. ამ ქალაქში სკოლის გამართვა ბევრს ქართველს ესიამოვნება. სხვათა შორის, ამ უამაღლეს ქობულეთში (ჩურუქსუში) იმყოფება ყველასაგან პატივ-საცემი გრავოლ დავითის-ძე გურიელი, კაცი მოხუცებული და ნამდვილი ქართველი, რომელიც თავის მხრით სკოლას დახმარების აღმოჩენას დაპირდა. აქ, ამას გარდა, სხვა მაჰმადიანებიც აპირებენ ფულის შეწირვას და იმდენის მოგროვებას, რომ თავისუფლად შეეძლოთ სკოლის შენობის შეძენა. ქობულეთში დააჩვებულ ქართულ სკოლის საშუალებით იმედია, რომ ქართველ მაჰმადიანებში აღიზრდებიან ნამდვილი და პატიოსანი ქართველი კაცები, რომელთა მეოხებითაც მთელს ამ ხეობის ერში სულ რამდენიმე წელს მოიკიდებს ფეხს და გაერცულდება ქართული ენა და საქართველოს სიკარული.

ამავე სკოლის საშეალებით და ამათის ხოჯების დახმარებით შესაძლოა მომზადნენ სასულიერო კაცნიცა, რომელთაც ქართველი მაჰმადიანები „მოლიებს“ ეძახიან. ასეთ სასულიერო კაცთა მომზადებას დიტი ცურადლება უნდა შეიქცეს, რაღვანაც დღეს აქეთ უმეტესი ნაწილი სულ საზღვარ-გარეთიდამ მოსული ხოჯები არიან და ჰქალაგებენ: ნუ შეგიყვარდებათ ქართველები, სათათრეთში გადასახლება გირჩევნიათო. ეს ყოველივე ამ დღეებში მიამბო ერთმა აქაურ ქართველ მაჰმადიანმა და დაუმატა, რომ მთელს კინტრიშის ხეობაში სულ სამი ან ოთხი ხოჯა იქნება ქართველიო, დანარჩენი ჭანები და ოსმალები არიან, რომლებიც ხალხს აქვთებენ გადასახლებისათვის და ქართველების სიძულვილს უნერგავენ გულშიო. შაგათის

მეოხებით მომშორდნენ მე ჩემი ნათესავები და ასმალეთ-ში გადავიდნენო; ეგენი ბევრს ნავნევს იზამენო. ამ საქმეს მთავრობამაც მიაჭირა ყურადღება და დღეს სურს, რომ ქართველ მაჰმადიანებს თავიანთ ქვეყნის კაცები ჰყავდესთ ხოჯათაო.

აი, ამიტომ, ჩვენ ქართველებს დიდი ვალი გვაწევს კისრად, სახელდობრ ისა, რომ ამოდენა ხალხის საქ- მეს ჯეროვანი ყურადღება მივაჭიროთ და რიგიანი წი- ნამძღოლობა გაუუწიოთ. დაუუმტკიცოთ ძმობა და ყოველ გაჭირებაში დავეხმაროთ ძმებივით. დღეს უჭირს ამ ქვეყანას ჩენი შველა და დახმარება, სწავლა აქ ნაკ- ლებად არის. მცოდნე კაცს იშვიათად თუ პნახავ. აქ არ იციან არც ისტორია საქართველოსი და თავიანთ ქვეყ- ნისა, არც მწერლობა ქართული და მისი თავ-გადასავალი, სკოლამ უნდა შეავსოს ეს ნაკლი. სკოლამვე უნდა გაა- ჩინოს აქ მრავლადვე მოლიები თავიანთ სჯულის ჭედ- მიწევნით მცოდნე, რომელთაც ამასთანავე კარგად უნდა იცოდნენ ქართული ისტორია და მწერლობა საქართვე- ლოსი. თუ ასე მოვიწევით, ვნახავთ, რომ 10—15 წე- ლიწადში ეს ქვეყანა სრულიად ფერს იცვლის, სამოთხედ გადაიქცევა და, თუ დღეს ჩენი შველა ეჭირვება, მერე თვითონ იგი გვიშველის. ვინც დაუფიქრდება ამ საგანს, ადვილად მიხვდება, რომ ამ შავი-ზღვის პირად მყოფ ქვე- ყანას, ამ ტომით და ჩამომავლობით ქართველს და სჯუ- ლით ჭეშმარიტს მაჰმადიანს ხალხს, რა დიდი შემწეობა შეუძლიან აღმოგვიჩინოს შემდეგში.

კინტრიშის ხეობაზე აი რა სოფლებია, რომლებიც მე დავიარე და 2000 ეგზ. მათებური ლექსები დავარიგე, ანბანით და რომელ სოფლებშიაც ნანდეილი ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობენ.

1) სოფ. ქაქუთი, 50 კომ., ჯამე (სამლოცველო) აქვთ
და საკუთარი ხოჯა ჰყავთ. აქედამ მრავალნი ასმალეთ-
ში გადასახლებულან.

2) ლელვა, 70 კომლია; ახალი ორ-სართულიანი ჯამე აქვთ და ხოჯათ ჭანი ჰყავთ, რომელსაც ორი ცო-
ლი ჰყავს, ერთი ასმალეთში და მეორე აქა. ამ სოფლის
მამასახლისმა შემომჩივლა, რომ სკოლის გამართვა ჩენტ
გვინდაო. თუმცა ჩენტი ხოჯაც ასწავლის, მაგრამ იმის
სწავლება არეარგაო. წინად ჩენტს უფროსსაც მიემართეთ
და ვსთხოვეთ, რომ ჩენტი თხოვნისათვის ყურადღება მი-
ექცია, მაგრამ არ დასთანხმდა. ეხლა გეხვეწებით შენ,
რომ ამის შესახებ ეგები „ხაზეთაში“ რამე ჩასწეროვო. მე
იმედი მივეცი. ამ მამასახლის თათრობა ამ. ოცის წლის წინად
მიულია; ცოლშეილიანი კაცია. ომიანობის დროს ბეჭრი
მამაცობა უამოუჩენია და ამისთვის ბევრი სამახსოვრო ნიშ-
ნები აქვს მთავრობისაგან; ცოტათ რუსულიც იცის. ამის
თავოსნობით გაუკეთებიათ ამ სოფელში ახალი ჯამე.

3) წყაკრუჭა, 20 კომლია, აქეთ მედრესე. აქედამ
50 კომ. მეტი გადასახლებულა.

4) სკურე, 25 კომ., ჯამე აქვთ. აქედამ 40 კომ.
გადასახლებულა.

5) ჩეხედენი, 30 კომ., აქედამ 30 კომ. გადასახ-
ლებულა.

6) აჭყვის-თავი, 100 კომლია, ჯამე აქვსთ და
ჯამეს გვერდით მედრესე, ხოჯა ჭანია, მცირეთ ქართუ-
ლიც იცის, — საჭიროების გამო უსწავლია; თუმცა თვითო-
ნაც სთქვა, რომ ქართული ენა ჭანეთშიაც არის საჭირო-
ვო. ეს ხოჯა არის მასწავლებლად აქ, 60 ქართველთ მაჲ-
მაღიანი ყმაწვილები ჰყავს. ყმაწვილებს-მოსწავლებს არა-

ბული და ოსმალური წიგნები უჭირავსთ ხელში, თუმცა
ამ ენის ერთი სიტყვაც არ ესმით. სკოლაში ყმაწვილები
დაჩიქილი და ზოგი დამჯდარი კითხულობს ანბანს და
ლოცვებს. ამ სასწავლებელში ორი ახალ-გაზდა მოლიები
იზრდებიან, ქართველები, ერთი აღი ქათამაძე და მეორე
ახმედ ჯინჭარაძე. ასე 18 წლისანთ იქნებიან. ამათ თათ-
რული ანბანზ შეუსწავლიათ, წერე კითხვა ვკითხე თუ
იცით მეთქი, მაგრამ დამალეს, არ ვიცითოთ მე ყმაწვი-
ლებს წიგნები შეეაძლიე, მაგრამ ხლჯასი შეეშინდათ,
მომერიდნენ, არ გამომართვეს; ხლჯას ვუთხარ, რომ აქ
საფიქრის და საშიში გრაფერია შე წაუკითხე ზოგიერთი
ლექსები, აქ მდგომი ორი მოხუცი ალტაცებაში მოვიდნენ,
სკოლაში ყმაწვილებმაც სული განაბეს, თათრული წიგ-
ნის კითხვა შეაჩერეს და ჩემს, კითხვას დაუგდეს ყური.
წამოსელისას ერთმა მოხუცმა მსთხოვა, თუ შეიძლება,
ორი წიგნი მოგვეცით და საღამოზედ აქ მოვლენ ისეთი
კაცები, რომლებიც მაგაებს წაიკითხავენო. ამ დროს სკო-
ლიდამ ყმაწვილები გამოცვივდნენ და დაიწყეს თხოვნა,
რომ ჩვენც მოგვეცითო, მე დავურიგე წიგნები, მოლიებიც
მომზახლოვდნენ და იმათაც მთხოვეს. გამოსჩნდა, რომ
ამათ ქართული კითხვაც სცოდნოდათ. მე ვუთხარ: ყმაწვი-
ლებო, თქვენ ხეალ თუ ზეგ მოლებათ გახდებით და რო-
გორ შეიძლება, რომ ქართული არ იცით, ქართული თუ
არ გეცოდინებათ, ხალხს როგორ უნდა უქადაგოთ მეთ-
ქი, ხომ ხედავთ, რომ თქვენში თათრული თითქმის არავის
ესმის. ამათ პირობა მომცეს — ქართულს შეეისწავლითო.
მე დავურიგე მათ წიგნები — ქართული. ამავე სოფელში
სცოდნებს ერთი ქართველი მაჰმადიანი, სახალხო მელექ-
სე, ხუსეინ ხაბაზი, კაცი ხნიერია. ქართველ მაჰმადიანებში
ბევრნი არიან მელექსენი, მაგრამ ამისთანა იშეიათია. აშის

სახელი ბევრმა იციან და ლექსებიც გაუჩელებულია. ერთი ამის ლექსი „დაკარგული ბაჩა“ ყველა მაჰმადიანთ ბავშვებმა იციან ზეპირად. ვისმეს ბოვშს რომ ჰკითხო, თუ ხუსეინ ხაბაზი ვინ არის? — ის მაშინვე გეტყვის: მეშაირეა; — იმის შაირი იცი რამე? — მოგიგებს: კი, ბატონო, „დაკარგული ბაჩაო“ და სხვანი. ამ სოფლიდამ სულ ოცდათი კომლი გადასახლებულა ოსმალეთში.

7) ზენითი, 15 კომ., მედრესე აქვთ, აქედამ 40 კომ. გადასახლებულა.

8) ალამბარი, 90 კომ. ჯამე აქვთ, ხოჯად ქართველი კაცი ჰყავთ; მამუდ ეფენდი ხახუტოლლი (კომახიძე); აქედამ გადასახლებულა 100 კომ. და ოთხი ქართველი ხოჯა. მამუდ ეფენდი ხახუტოლლი, მე ხახუტაშეილი მეგონა, მაგრამ არაო, სთქვა მან, ხახუტა გათათრების შემდეგ უწოდებიათ ჩეენთვის, რაღვანაც ეს ხახუტა სახელი ყოფილა ერთი ჩეენი წინაპრის, თორემ ჩეენ კომახიძეები გახლავართო. ეს ხოჯა გავიცანი; საუბარი გავმართეთ, აღმოჩნდა რომ მას ქართული წერა-კითხვაც სცოდნიყო, მხოლოდ ჩეენებურიო. „ჩეენებურს“ ესენი მათებურ ქართულს უწოდებენ, რომლის ნიმუში დ. ბაქრაძის ისტორიულს და არხეოლოგიურს მოგზაურობაშიაც არის მოყვანილი. მე ამ ხოჯას გადავეცი რამდენიმე ქართული წიგნები; ამას ძრიელ გაეხარდა. წამოსელისას დიდი მადლობა მითხრა და თან დაატანა: იცოცხლეთ, რომ ჩეენში ხშირად მოსულიყოთ და წიგნები მოგეტანოსთო, ჯერეთ ჩეენში თქვენებური წიგნი კაცს თვალით არ უნახასო; ჩეენ ქართველები ვართ და თათრებიც ისე გვეძახიანო, რომ გურჯები ხართ თქვენაო. ამავე სოფელში სცხოვრობს მემამულე დედი ალა ბასილოლლი ნიდარაძე, ძველი ქართველ თავადიშეილთაგანი, ქართული ენა და ჩეეუ-

ლების დამცველი, ამას ძრიელ გაეხარდა ჩემი მისელა, გზაში მომევება: ოჯ, შენი ჭირიმე შენიო, როდის მობრძანდით, როდის წახვალთ და სხვანი. ნურას უკაცრავათ, ჩვენ ორნივე ერთნი ვართ, ჩვენი სამამეულო ენა ქართულია, ჩვენც ქართველები ვართ, მხოლოდ თქვენ ქრისტიანი და ჩვენ კი მუსულმანიო. ამათ სახლში ყველა ქართულად ლაპარაკობს და ქართული წერა-კითხვაც იციან. ამათ-თან რამდენიმე დღე დავყავ და დიდი პატივი მცეს. ამათი პირველი და უკანასკნელი თხოვნა ის იყო, ევები აქ, ქობულეთში, სკოლა მოვახერხოთო, თორემ ბათომში ვერ ეზღით შეილებს, გვიჭირდებაო, შეძლება არა გვაქვსო. ბათომში ქართველების სკოლა უბრალოთ არსებობს. იქაურ ბევის შეილებს თავიანთი შეილები ასმალეთში მიჰყავთ სასწავლებლათო. იმათ აქ გული არ აქვსთ, სკოლა ცარიელია და ფული კი იხარჯებაო. აქ-კი ორ თვეში სკოლა გაივსება მოწაფეებითაო. ამავე სოფელში ერთ ალა-გას ეკლესიის ქვები ჰყრია, ამ ეკლესიას წმ. გიორგი შუ-შანეთისას უწოდებენ. ამას ხალხი დღესაც სცემს პატივს. მე მაჩვენეს ეს ადგილი და ერთი ქვის გვერდით ორი კოშტი წმინდა სამთლის ნაჭერი ეიპოვნე, ერთზე 3 კაპ. იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კ. ერთი კვირის წინედ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდამ, რადგანაც მათ ერთი ბავშვი გახდომოდათ ავათ. აქვე და სხვა და სხვა ეკლესიის ნაშთებს სწირვენ ხოლმე ფულს, წმიდა სამთელს, ბამბას, თაფლს, საჭმელს და მამლებს, რომლებსაც ნაშთების გვერდით სტოვებენ და მას არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ხელს არ ახლებს.

9) გვარა, 8 კომ. აქედამ გადასახლებულან 30 კომ.

10) ხუცუბანი, ეს ის ხუცუბანია, რომელიც უკანასკნელს დროს რუს-ასმალთა ომის ასპარეზად იყო.

აქ ერთობ დიდი სისხლი დაღვარეს ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთისავე მოძმე ქართველებისა. არ იყო კარგი, რომ ეს ერთი ტომისა და ენის ხალხი, ერთი გვარისა და ერთი ქვეყნისა, ასე უწყალოთ ჟლეტენ ჩვენ კახელ-გურულებს, ეს უბედურება ბევრს ქართველ მაჰმადიანს სწყინდა თურმე და ესენი ამბობდნენ, რომ ეს შემთხვევები დიდ უბედურებათ უნდა ჩაითვალოსო. ვაი ჩვენს თავსაო. ჩვენ ერთმანეთის დაახლოებას ვცდილობდით და ეხლა კი ისეთი რამეები ხდება, რომ დაახლოების მაგიერ ერთმანეთს შეგვაძულებსო. ეს ცოდვა ალი ფაშა თავდ გერიძემ და სხვებმა ზიდონო. ხუც-უბნიდგან 50 კოშ. გადასახლებულა.

11) ძველი ქობულეთი, 70 კოშ. კარგი ჯამე აქვთ, ხოჯა ჭანია, გადასახლებულა 40 კომლი. მდებარეობს კინტრიშის ნაპირას, დიდს მთიანს ხეობაზე, ქობულეთი ამ სოფელს რქმევია ძველად და არა დღევანდელ დაბა ქობულეთს, დღევანდელ ქობულეთს დაბა ჩურუქსუს უწოდებდნენ. მშვენიერი ქვითკირის ჯამე აქვთ, ახალი მხატვრობით. ჯამეს სახლი ერთი ბეგის ყოფილა, იგი ომის შემდეგ ოსმალეთში გადასახლებულა, ეს სახლი უპატრონოთ დარჩენილა და დღეს ქართველ მაჰმადიანებს ჯამეთ გადაუ ეთებიათ. ხოჯათ ოსმალელი თათარი ჰყავთ, მოხუცებული კაცი. მე სულ არაფერი ყურადღება მომაქცია, ლოცუის „მემდევ ხალხი გამოვიდა, გალავან“ში მოგროვდნენ; მე დავიწყე ლექსების კითხეა: ბევრს მოეწონა, 100 წიგნი დავურიგე და შიგ ვუჩვენე ანბანიც. ბოლოს წავუკითხე „ქალ-ვაჟიანის“ ჩს ადგილები, სადაც ქალი და ვაჟის საუბარია; როცა ამ კითხვებს ვათავებდი, მოხუცებული ქართველი მაჰმადიანები სულ „ალაას“ გაიძახოდნენ და თანაც ამბობდნენ, რომ ეს მოხე ფერამბარიაო, დანიელ

ფელამბრიაო. ყმაწვილი კაცები სულ-განაბული იდგნენ. ერთმა ამათგანმა მე მთხოვა. ძმობილო! თამაშობის წიგნი არ გაქვს, თუ გაქვს, ფასით ვიყიდო. მე გადავეცი ერთი პატარა კომედია, რომელიც სიამოვნებით მიიღო. ამას ქართული წარმოდგენა უნახავს სადღაც. სკოლა არა აქვთ. აქ რომ სკოლა გაიხსნას, დიდ სარგებლობას მოისტანს. ამის შესახებ იქაურებს მე სიტყვა ვუთხარ, დიდათ ესიამოვნათ. ამიტომ ვსთხოვთ და ვავალებთ ჩვენ ქართველებს, რომ ამ ბედკრულ ერს რამე ნაირად პატრონობა აღმოუჩინონ და სკოლა გაუმართონ, მეტის მეტი მშვენიერი სოფელია, ხის სახლები, კოხტა ბალკონებით სიამოვნებას უხატავს კაცს თვალთ წინ.

12) კონდიდი, 30 კომ. 20 კომ. გადასახლებულა.

13) კოხი, 30 კომ. 30 კომ. გადასახლებულა.

14) კვირიკე. აქ ყოფილა 160 კომ. დღეს არის მხოლოდ 23 კ. დანარჩენი გადასახლებულა. ამ სოფლის ხოჯა ქართველი მაჰმადიანია, უსეინ ეფენდი წითლანაძე ს. ვანათიდამ. სწავლა სტამბოლის რუშტიაში მიუღია. ჩემი გაცნობა ჯერეთ არ ეჭაშნიკა, შეეშინდა. მერე ვკითხე, ქართული კითხვა თუ იცი, მან მომიგო, არ ვიცი, ძმობილოვო. ხოჯას გვერდით სხეები იდგნენ, იმათ მთხოვეს ლექსების წაკითხვა, მე წავუკითხე, ხოჯას ძრიელ მოეწონა, წიგნები დაეურიგე, მანაც მთხოვა და მივეცი 20-მდე: მე ხოჯას ბევრი რამ ვუამბე, ვუთხარი: რომ მე ეს და ეს თქვენებური ხოჯები გავიცანი, სახელები და ცნობებიც მოვუყევი. ის დაფიქრდა. და მითხრა: ძმობილო, ეხლა კი გეტიკი, რომ მეც ქართველი ვარ, რაკი ეს ხოჯები გაგიაცნია, ესენი სულ ქართველები არიან, თუ ისინი დაიღუპებიან, დავ, მეც იქ ვიყვეო, აღარ მეფიქრებაო, ქართუ-

ჭრი წერა-კითხვასც ვიციო. მშვენიერად წაიკითხა ქართული წიგნი. მთელი თავის ამბავი მიამბო; მეტათ ჩინებული პირია, ხათრიანი, ზრდილობიანი ყოფა-ქცევის და სიტყვა - პასუხის. ლარიბად კი სცხოვრობს, 23 კომლი მრეველი ჰყავს და ამათგან აბა რა უნდა აიღოს. ჩეენი ქარგი სოფლები სულ ჭანელ და ოსმალელ ხოჯებს უკავიათო. ჩეენ კი ასეთ სოფლებში ვართ დატოვებულნი. ეგვანი უელეფენ ჩეენ ხალხს და ბოლოს თავიანთ ქვეყანაში მიდიან და თან მიაქცისთო. მინამ წაელენ, თავიანთ მოადგილეთ თავიანთის ქეეყნიდამ მოჰყავთო და ჩეენ კი სიტყვასაც არ გვეუბნებიანო. მაგათ ჩეენი ენა არ იციან, ხალხის ზნე, ჩეეულებაო. სიტყვას ვერავის აგებინებენ და საქმესეო, მაგრამ რას იზამს კაცი, საქმე ასეა დაყენებული ბათუმის მუფთისაგანო! იმან რომ მოინდომოს, მაშინ აქ ჩეენში არც ერთი უცხო ხოჯა ფეხსაც ვერ შემოსდგამსო. ამასთან კიდევ გაიმეორა, რომ ჩეენ ქართველნი ვართო, ქართველების ჩამომავლნიო. ჩეენი ენა ქართული არისო. მე რომ წანოველ, დიდ მანძილზე გამომაცილა, ადრესი მკითხა, მეც ვუთხარი.

15) დაგვა, 50 კომ; ჯამე აქცისთ, 30 კომ. გადასახლებულა.

16) სამება, ამ სოფელში აქცისთ მშვენიერი ჯამე ძველის ეკლესიის საძირკველზე დამდგარი, ხოჯა ჭანია, ჯამეს გვერდით მედრესე აქცისთ გამართული. ამ სოფლის მემამულეა გულალა კაკაცოლლი, კაცი ქართული მწიგნობრობის მოყვარე, ერთ დროს ეს „დროებაში“ წერილ ამბებსაც იწერებოდა. ამისი ერთი შეილი თფილისის კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობს. ესენი სხვა ქართველ მაჟმალიანებსაუთარ ფანატიკობენ, თავიანთ თავი ქართველებად მიაჩინიათ ესენი ამ აზრებს სხვა მაჟმალიანებსაც

ასმენენ. პარასკევი დღე იყო, წვიმიანი, სოფ. კვირიკედაშ
წაველი და ტყე-ტყე სიარულით ჩაეხწიე წვიმისაგან და-
სველებულმა ამ სოფლის ჯამემდის და აქ ხოჯა გავიცა-
ნი. ამან ჩემი მისელა ძრიელ იუცხოვა და მითხრა: ნე-
ტავი, რისთვის მოსულხარ აქ, ამ წვიმაში, რას გაწუწულ-
ხარ, მე არა მგონია, რომ თქვენ ამ წვიმაში და ამ ტყე
ლრეში უაზროდ წამოსულიყავით, თქვენ, რაღაც ჰაზრები
გექმნებათ, მაგრამ გეტყვით, რომ საიდამაც მოსულხართ,
იქითვე წახვიდეთ და ეგ თქვენი წიგნებიც თან წაილოთ.
აქ ამ დროს ერთი მის მოწაფეთაგანი იდგა, ქართველი
მაჰმადიანი; მას მიუბრუნდა ხოჯა და უთხრა: „პატა, წალი
შინ და პატარა წიგნი გამოიტა“. პატარამ წიგნი მოუ-
ტანა, ეს წიგნი იყო ზათრული კალენდარი. ხოჯამ მითხ-
რა: აი ჩვენი წიგნი, თქვენი წიგნები თქვენთვის იყოსო-
საქმე ძალაზე მივიდა. მე მაინც სად წავიდოდი წვიმაში
და ისიც ტყეში. პატარა ხანს უკან ხოჯა დაშოშმინდა.
მე დავარწმუნე, რომ კარგის მეტი ჩვენ არაფერი განძრახ-
უა გვაძეს მეთქი. მერე წავუკითხე ლექსები, ხოჯამ ორი
წიგნი გამომართო; მერე ხალხი მოგროვდა, იმათაც წავუ-
კითხე ლექსები და ბოლოს დაუურიგე კიდეც, ხოჯას ჯავ-
რი მოუეიდა და თავისაგან წალებული წიგნები ისევ უკან
გადმომიყარა. ხალხმა კი დამიწყო თხოვნა: — „ჩვენ მოგვე-
ციო“. ბოლოს ხოჯამაც იბრუნა გული და მითხრა: —
„მეც მომეცი და აქვე დაუურიგებ ხალხსაო“. მე გადავეცი.
ამ დროს ერთმა ქართველ მაჰმადიანმა მითხრა: — „მაგას
ყურს ნუ ათხოვებ, ჭანიაო, ჩვენ წელიწადში თითო ხოჯას
უსცვლითო, ეგეც წაბრძანდება მერმისაო. ეს ხოჯა დიდი
ფანატიკია და რაღა ფიქრი უნდა, რომ ქართველ
მაჰმადიან პატარა შეილებსაც სასტიკათ აფანატიკებს და
ქართველებს ქართველების წინააღმდეგ რაზმავს.“

- 17) ჭახათი, 60 კომ. ჯამე აქვთ. აქ ზოგი ქრისტიანებიც არიან. ადვილად შეიძლება, რომ აქ სკოლა გახსნას პატივცემულმა მამა ლეონიდე ოქროპირიძემ.
- 18) კეჭიეთი, 20 კომ.
- 19) ვარჯანული, 30 კომ.
- 20) ტყე მაკრავა, 40 კომ. ორ სოფელს ერთი ჯამე აქვს და ერთი ხოჯა ჰყავთ, ჭანი.
- 21) ცხემუანი, 40 კომ.
- 22) კობალაური, 20 კომ., 40 კომ. გადასახლებულა.
- 23) ზარაბოსელი, 40 კომ. ჯავე აქვთ, 25 კომ. გადასახლებულა.
- 24) ღიღი ვაკე, 30 კომ., 40 კომ. გადასახლებულა.
- 25) ზემო ხინო, 40 კომ. ჯამე აქვსთ, 30 კომ. კომ. გადასახლებულა, აქ ძველად საეპისკოპო ტაძარი ყოფილა და ყოველთვის ეპისკოპოზი იჯდა, რომელსაც ხინო წმიდელს უწოდებდნენ. ეს სოფელი ცნობილი ადგილია საქართველოს ისტორიულის წიგნებში.
- 26) ჩაქვა, 50 კომ. ჯამე აქვსთ, გადასახლებულა 50 კომ.
- 27) ხალა, 150 კომ. ჯამე აქვსთ.
- 28) ჩაქვის თავი, 60 კომ., ჯამე აქვსთ, ოცი კომლი გადასახლებულა.
- 29) გორგაძნეები, 30 კომ., ჯამე აქვსთ.
- 30) მახინჯაური, 40 კომ., ჯამე აქვსთ., 30 კ. გადასახლებულა.
- 31) ორთო-ბათუმი, 60 კომ., ჯამე აქვსთ.
- 32) ყროლის-თავი, 40 კომ. ჯამე აქვსთ.

33) აგარა, 25 კომ., ჯამე აქვსთ, 30 კომ. გადასახლებულა.

34) ახალშენი, 30 კომ. ჯამე აქვსთ, 20 კომ. გადასახლებულა.

35) ხალეაშენები, 15 კომ. ჯამე აქვსთ, 40 კომ. გადასახლებულა.

ეს სოფლები არის მხოლოდ მეორმოცე ნაწილი, იმ ძეგლის საქართველოსი, რომელიც რუსეთმა შემოიერთა. ყველა ამ სოფლებში, შინა თუ გარეთ, კაცი, ქალი და ბავშვი სულ ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. მთელი ეს ხელბა დავიარე, ვიყავი ისეთ მთებში და ტყებში, ხადაც დღემდის ქართველი კაცი თვალითაც არ უნახავსთ. ქართული ენა ამათ ისე შეუნახავთ, როგორც თუშ-ფშავეესურეთში. ვინც ამ ხალხის ყოფა ცხოვრებას გაიცნობს, იმამა მაშინვე ჩვენებური მთიელთ ცხოვრება წარმოუდგება თვალწინ. ამათი სახალხო ენა, დედა ენა ქართული ენა არის და აქ, ამ დაშორებულს მხარეში, ოცში ერთმაც არ იცის ოსმალური ენა, ქალებმა ხომ სულ არ იციან. თუმცა აქა-იქ არაბული კითხვა კი დაუსწავლიათ და პარასკევი დღეობით ორის საათის განმავლობაში დაჩიქილები კითხულობენ, მაგრამ გაგებით კი არაეის არაფერი ესმის, აქ ყოველ დღესასწაულის ლხინებს, სიმღერებს, ტირილს და სხვა რამებს ქართულს ენაზე ასრულებენ. აქ ამბობენ, რომ ჩვენი ენა ქართული ენა რარისო, თუთოებიც ასევე გვეძახიან ჩვენ, რომ თქვენ გურჯები ხართო.

ასე და ამ გვარად მაჰმადიან ქართველებმა მთელის სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის ხელში, ქართული ენა ათასის წეითა და დაგვით შეინახეს და, როგორც აქ ერთმა ნასწავლმა მაჰმადიანმა წარმოსთქვა, ახლა, ამ ბოლოს დროს, ეს ენა და ერთ თქვენ ჩაგაბარეთ

და იმედია რომ დლეის შემდევ ჩვენი მოძმე ქართველები ჩვენს ენასა და ყოფა ცხოვრებას თავიანთ მზრუნველობას არ მოაკლებენო. ზოგს თავიანთის და ზოგს ჩვენის დახმარებით სკოლებს დაგვიარსებენ და ჩვენს ერში ქართულს წიგნებს და განათლებას გაავრცელებენო.

III

კინტრიშის და ჩაქეის ხეობის მაჰმადიან ქართველებს ოსმალოეთიდამ ამბავი მოუვიდათ, რომ ტრაპიზონში მცხოვრები გამოჩენილი ქართველი ყემპერ ალაზაშიოლლი (ჩივაძე) გარდაიცვალაო. ამ კაცის სიკვდილის ამბავი ყოველს ქართველს მაჰმადიანს სიბრალულს უღძრავდა და ყველა სინანულით იხსენიებდა ყემპერ ალაზაშიოლლის. ურიგო არ იქმნება, რამდენიმე სიტყვით მოვიხსენოთ ისიც, თუ ამ კაცმა რა გააკეთა ისეთი საქმე, რომ ქართველთ მაჰმადიანთ შორის ასე დაიმსახურა სახელი.

ყემპერ ალა-უაშიოლლი (ჩივაძე) ნამდვილი ქართველი მაჰმადიანი იყო, ამის წინაპარნიც ისეთივე ქრისტიანი ქართველები იყვნენ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანებისა. ესენი სცხოვრობდნენ სოფელ ხუცუბანში. თეით ფაშიოლლი ოსმალეთის სამსახურში მსახურებდა და ოსმალოს დროს ბათუმის ჯარის უფროსად ყოფილა. განათლება ამის სულ არა ჰქონია, ისე რომ არც თათრული წერა-კითხვა სცოდნია და არც ქართული. ქართულს ენაზე ეს ლექსებსაც სთხუზავდა თურმე. ამის ზოგი ლექსები ხალხშიაც იციან ჭეპირათ, ერთი ლექსი დაწერილიც ვიშოვე. სცოდნია მხოლოდ არაბულის ლოცვების კითხვა და იმის მეოხებით საშინელი ფანატიკოსიც ყოფილა, სწო-

რედ ისეთივე, როგორიც იყო ანგარებით საესე ალი ფაშა თავდგირიძე. ეს ორი კაცი ერთი თვისებისანი იყვნენ, ერთის მიმართულების და ერთნაირი ფანატიკოსებიც. ამათის ანგარებით, მუხანათობით და ფანატიკოსობით ჩატარდა ქართველს მაჰმადიანებს დიდი ზარალი და დალუპვა მოუხდათ, რადგანაც, ეს ანგარებით საესენი და შურის მეძიებელნი, ასახლებდნენ ქართველს მაჰმადიანებს საქართველოდამა და ოსმალეთში გადაჰყავდა, ყემპერ ალა-ფაშიონლის ომის გათავებისას რამდენს ემუდარებოდა თავ. გრ. გურიელი, რომ დაწყნარდი, ნუ მიხეალ სათათრეთშიო, ნუ ჰური ხალხს და ნუ აკარგეონებ ამ ძეირფასს ბინასაო. მაგრამ იმისაგან ყოველთვის უარი ისმოდა, არ შემიძლიან, შე, ბატონო, თათარი ვარ, მე აქ ვერ დავდგები, სათათრეთში უნდა წავიდეო. თვითონ წავიდა და თავისის ენით მგონი თრმოცი ათასი კაცი გადასახლა ოსმალეთში, რომელთა უმეტესნი გზაში დაიხოცნენ, გემში ავათმყოფობისგან და ამ მკვდრებს ზღვაში ჰყრიდნენ. ზოგმა მიაღწია და ესენი დაასახლეს აქა-იქ, მაგრამ არც ამათ დაადგათ კარგი დღე: სამოთხის მზგავს საქართველოში გაზღიულებმა იქაური ჰაერი ვერ აიტანეს, მათში გაჩნდა ავათმყოფობა და ერთი ნაწილიც იქ გაწყდა უბედურად. აი ასეთი საქმეების გამო სცემს აქაური ხალხი ყემპერ ალას პატივს და ასეთის საქმეების გამო იხსენიებენ მისს სახელსა და თანაც ამბობს, რომ ყემპერ ალა ნამდვილი თათარი იყოვო და ქართველი ხალხის სისხლის მსმელიო! ბევრს რუსსა და ქართველს მოსჭრა ამან თავიო.

მოგეხსენებათ, ის შავი და ბნელი დღეები, რაც საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნეში ეწევია მძლავრის შაჰაზისაგან, როდესაც მოხდა ქართველების დიდი გაღასახლება. ამ დროს ქართველ ძეელმა მწერლებმა „შავი დრო“

უწოდეს. სწორედ ასეთივე შავი ღრო ეწვია ამ უკანასკნელ ომის ღროს დასაცლეთ საქართველოში მცხოვრებს ქართველს მაჰმადიანებს და ზოგიერთის მეონებით აქედამ ასმალოეთში გადასახლდა და გაწყდა თითქმის ოთხასი ათასი ქართველი კაცი. ეს რიცხვი გამოანგარიშებული აქვსთ აქაურს ქართველს ბევებს და აღებს, ესენი ამბობენ, რომ ამაზე მეტიც იქმნა გადასულიო, ეს ჩვენ იქიდამ ვიცით, რომ ქართველთ მაჰმადიანთ რიცხვი ნახევარს მილიონზე მეტი რყოფო. ასე, უჭისას ათასს ამ-ბობენ. დღეს-კი იქ ოსმალეთში, ორას ათასზე მეტი ალარ იქნებაო, რაღანაც უმეტესი ნაწილი ამ გადასულებისა დაიხოცაო. დახოცილან იმიტომ, რომ მეტის მეტს სილატაკეში ჩავარდნილან. ოსმალეთს ესენი ვერ დაუჯილდოვებია, ესენი დაუსახლებიათ ისეთ ადგილებში, სადაც ვერც სიმინდი მოდის რიგიანათ, ვერც საქონელი სძლებს სალათ და ვერც სხვა რამ მოდის კარგად. ეს ის ადგილებია, რომლებისთვისაც ბერძნებსა და თათრებს თავი დაუნებებიათ და სხვაგან გადასახლებულან: ჩვენ აქ ვერ გავძლებთ, ვიხოცებითო. სწორედ ამ ალაგებში დაასახლა ოსმალეთმა აქედგან გასული ხალხი და ამ ადგილებმა დიდ-ძალი ხალხიც გაწყვიტა. დასახლებით თუმც დაასახლა, მაგრამ დახმარება კი არა მისცა რა, მისცეს მხოლოდ ორიოდე იყა სიმინდი, რომელიც პურად შესჭამეს და სათესლედ ვერ შეინახეს; პირველად ამათთვის არც საქონელი იყო, არც ექიმი, არც წამალი, არც სახლები და სხ. დიდ სილატაკემდე მიახწიეს, ისე რომ თავიანთს შეილებს ოსმალებზე გაყიდვა დაუწყეს და იქიდამ ანალების ფულებით აქეთ საქართველოში კაცებს ჰეზაერილნენ, ესენი საჭმელს სიმინდს ყიდულობლენ და ნაეებითა და გვ-

მებით მიჰქონდათ იქით. ეს დღესაც ისევ ისე და აქედამ ასმალეთში დიდი ძალი სიმინდი მიაკვთ.

ასეთ შავ დღეში ჩატარდა იქ გადასული ქართველობა და ასეთი მწუხარება აღკათ თვით დღესაც. ყველა ეს უბედურობა, შეწუხება და გაჭირვება მოუხდათ თავიანთის შეცდომებით და სხვების ჩავონებით. ეს ჩამგონები არიან მოლები და ხოჯები, ჩამგონებელნისამზღვარგარედამაც მოდიოდნენ და თვით დღესაც მოდიან. ამ მოლებს და ხოჯებს გარდა, რამდენიმე ქართველი მაჰმადიანი ბეგი, ალა და ფაშებიც ღალატობდენ, ყველა ამ ბოროტებას და მოტყუებას იმიტომ სჩადიოდნენ, რადგანაც ასმალეთისაგან ამათ დიდის საჩუქრების იმედები ჰქონდათ. მაგრამ იმედი ვერ ალუსრულდათ, ასმალეთის მთავრობამ ამათ მხოლოდ მიწები მისცა და სხვა კი არაფერი. ერთი ამათგანი ეს ფაშა ოლლი, რომელსაც ბოლოს გული სტკიოდა, სინანულშიაც შევიდა, მაგრამ ვერანდა იყო. ამან საქართველოში მოსელაც დაპირა, აქედამ წასელაც-კი არ უნდოდა, ხოლო დღეს, როცა ის იქ გარდაიცვალა, მისი ცოლი-კი, აქ საქართველოში სცხოვრობს. ასე უბედურად დალუპულ ქართველების შესახებ კიდევ იმას ვიტყვი, რომ მათგანი აქეთ ძრიელ ბევრნი გაღმოდიოდნენ ჩუმად და დღესაც შემოდიან და სახლდებიან. აქ, თავიანთს ნათესავებთან. ესენი ისეთს სინანულში არიან, რომ, როცა საქართველოში შემოდიან და პირველად აქაურს მიწაზე დაადგამენ ფეხს, მაშინვე მიწაზე ემხობიან და თაყვანს სცემენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძლიერ დაბრუნება გველირსაო. ერთის სიტყვით, სიხარულით ალარ იციან რაჭან, თითქმის გაგლახავებულნი ბრუნდებიან. ს. ალამბარში ში მე ვნახე, ერთი ახალგაზდა ქართველი მაჰმადიანი, ასე 21 წლისა, ასმალეთიდამ მოსული; ეს ყმაწვილი კაცი

ომის შემდეგ პატარა წაუყვანიათ ოსმალეთში და იქ გაზ-
დილა, დღესკი იქ ვეღარ დამდგარა და აქეთ მოსულა სა-
მუდამო საცხოვრებლად, დედის ნათესავებთან.

შუაგულს ოსმალეთში მცხოვრებს ქართველებზე-კი
ვერა შევიტყე-რა და რაც აქეთა მხრის ქართველების ცნო-
ბები გაეიგე, ამას-კი აქვე მოვიყვან: 1) პატარა ტრაპიზონ-
ში 150 კომლი ქართველია; 2) ანალს ათინაში 200
კომლი; 3) თრიპოლისში 100 კომ.; 4) ორდში 400 კომ.;
აქ სკოლაც აქვთ და 150 ყმაწეილი სწავლობს ქართ-
ველ მაჰმადიანებისა. მასწავლებლად მოლები არიან; ასწავ-
ლიან არაბულსა და ოსმალურს ენებსა; 5) ირიზეში 600
კომ. აქაური ქართველები ენახე, გემებსა და ნაეებზე მსა-
ხურობენ. ამათ ქართული წიგნები მთხოვეს იქ წასაღე-
ბად და მეც გავატანე. ამ ირიზელმა ქართველებმა ქარ-
თული კითხვაც იცოდნენ. ძალიან გაეხარდათ, რომ მე
წიგნები მივეცი. შიგ ანბანი არისო? მკითხეს, არის მეთ-
ქი, ამას ყველა დასწავლისო, ჩვენში ქალები სულ ქარ-
თულად კითხულობენო. აქ სკოლებიც არსებობს: სავაჭო
და საქალო. ყველგან მოლები და ხოჯები ასწავლიან, ქა-
ლების სკოლასა „მექთეს“ ეძახიან. აქ მასწავლებლად
არიან ბებერი ხოჯები და მოლები. ყმაწეილებს თათრულ-
სა და არაბულს ასწავლიან, ქალებს ძრიელ აფანატიკო-
სებენ, ისე რომ პარასკეობით ესენი მთელს დღეს სულ
„ყორანს“ კითხულობენ. სხვათა შორის აქ არის მასწავლებ-
ლად ერთი ქართველი ხოჯა, გვარად ალი ეფენდი ბოხი-
ძე, სტამბოლის რეზტიაში გაზრდილი; 6) ფლახთანა 50
კომ.; 7) გერესონი 60 კომ.; 8) უნია 800 კომ.; აქ
სასწავლებელიც აქვთ, ამ სასწავლებელში სწავლა სამს
წელიწადს გრძელდება, ჯერ მოლები ასწავლიან და ბო-
ლოს ერის კაცები. სწავლის შესრულების შემდეგ სტამ-

ბოლის რეშტიაში მიღიან, ხადაც სამს წელიწადს რჩებიან, აქედამ ზოგნი სასულიერო კაცებად გამოდიან და ზოგნი სხვა და სხვა.; 9) იასონი 60 კომ.; 10) ონა 100 კომ.; 11) ბოლმანი 50 კომ.; 12) ფაცა 400 კომ.; მედერსეები აქვთ. 13) ჩარშამბა 10 კომ.; 14) სამსონი 200 კომ.; 15) ლიარ-ბექირი 100 კომ.; 16) თერძი 70 კომ.; 17) კუნჯულას 60 კომ.; 18) კიზილ იარმარქს 100 კომ.; 19) გექეზეს 50 კომ.; 20) სინაფს 50 კომ. 21) აიანჯუქს 100 კომ.; აქ აჭარიდვან გადასულნი არიან. 22) ვართენეს 50 კომ.; 23) ალაშენეს 30 კომ.; და სხვანიც მრავალნი, მარტოდ აქ სცხოვრობენ ის ქართველნი, რომელნიც ხემპერ აღა ფაშიოლლის მეცადინეობით გადასახლებულან ოსმალეთში.

ყველა ამ სოფლებში ნამდვილი ქართველები სცხოვრობენ. ამათი სახალხო ენა შინა და გარეთ ქართული ენა არის, ლხინი, თამაში და ტირილი ქართულად აქვსთ, ბეკრს სოფელს თავიანთის სოფლის სახელები უწოდეს, ზემოდ ჩამოთველილნი კი მათზე აღრეც ყოფილან და იმიტომ თათრული სახელები აქვს, ყველა სოფლებს თავის ჯამე აქვს და მოლა, ხოჯები ჰყავთ, მეღრესებიც აქვთ, სწავლა თათრულს და არაბულს ენებზეა და ამიტომ პატარა ბავშვებს ქართული ავიწყდებათ. ამათი ყადებიც ქართველნი მაჰმადიანები არიან, ესენი ქართულად არჩევენ საქმეს, ამათში ქართული კითხვაც ბეკრმა იყის, საქართველოში თავიანთ ნათესავებს ქართულად სწერენ წერილებს და საქართველოდამაც ქართულად მისდით წერილები, ამ ქართველებისაგან აქაურს ერთს მაჰმიდიანს გულალა-კაკაცოლლის წერილი მოსვლია, რომლითაც ისინი ეხვეწებიან და ეველრებიან, რომ ეგების ქართული წიგნები მოგვაწოდოთო. ამას წინათაც გაუგზივნია იმათთვის ქართუ-

ლი წიგნები და ეხლაც იმიტომ უთხოენიათ ამისგან. მე გადავეცი ამას მათებური ლექსები ანბანი-თურთ 200 წიგნი გასაგზავნად, ამათი ნაწერი ქართული წერილებიც ვნახე, ქართულს ასოებს ზოგს თათრულის ასოების სახე მიუღია, ნიმუშები შევკრიბე, ამ ხალხში რომ დღევანდელ დღემდე ქართული წერა - კითხვა და ენა შენახულა, ეს ბევრის მაგალითით მტკიცდება.

ამ დღეებში ერთს ჩემს ნაცნობს მოლასთან, ჰუსეინ-ეფენდი წითლანძესთან ეიყავი; ამასთან ერთმა ქართველმა მაჰმადიანმა წერილი მოიტანა და თათრულად ადრესის დაწერა სთხოეა, მოლამ დაუწერა; ჭართულად ლაპარაკობდნენ. მე ცნობის მოყვარეობამ აღმიტაცა და წერილის პატრონს ვკითხე, თუ წერილს სად გზავნი მეთქი; მიპასუხა, რომ სტამბოლში ცოლ-შეილს უვზავნიო, წერილი როგორ არის დაწერილი მეთქი, იმან მიპასუხა, ქართულადო. მეორე ხოჯასთან ვნახე რამდენიმე ქართული წერილი, ოსმალეთში გასაგზავნი და ადრესის დასაწერად მოტანილი. ეისაც უნდა, რომ ამაზე დარწმუნდეს, ის დარჩეს ვინმე ქართველ ხოჯასთან ერთს ან ორ დღეს და იქ მაშინ დარწმუნდება ამაზე, რაღაც ნახამს, რომ მრავალი სხვა და სხვა პირები მოიტანენ ქართულად დაწერილ წერილებს ადრესების დასაწერად.

IV.

ბათომში ქართველნი მაჰმადიანი კარგა ბლომადა სცხოვრობენ. ბათომის ქართველს მაჰმადიანებს ბათომში სამი ჯამე აქვსთ. ერთში კერძოდ ოსმალოს თათრები დაირებიან და ორში კი ქართველი მაჰმადიანები. ერთი ჯამე ეხლა გადააკეთეს და გაახლეს. ეს ჯამე მეტად დი-

დია და ბევრის თათრულის წარწერებით არის შემკული. ჯამე გაუხლებიათ ხუსეინ-ბეგ და იბრაიმ-ბეგ ბორჩხელი აბაშიძეების დახმარებით და თაოსნობით. ესენი სჩევიან, რომ ჩვენი პირველი ძევლი ჯამე, რომელიც სულთანის დედისაგან არის გაკეთებული, დღეს მეტის-მეტ ცუდი მდგომარეობაშია ჩავარდნილი და მის დუქნების-გაცემის ნებას აღარ გვაძლევენ იჯარითო, მესამე ჯამე ფიცრულისა, მაგრამ შიგ კარგა არის შეკრული. ამ ჯამეების მზრუნველად ზემო ხსენებული აბაშიძეები არიან, ჰუსეინ-ბეგი და იბრაიმ-ბეგი, ქართულად ლაპარაკობენ, თავიანთ სამშობლო ენად ქართულს ენას სთვლიან, თუმცა თათრულადაც-კი სწერენ და კითხულობენ. ქართული ნაკლებად სულინიათ და დღეის შემდეგ-კი ჩვენ უკეთ შევისწავლით. ჰუსეინ-ბეგს რამოდენიმე ქართული წიგნი გადავეცი, მან დიდის სიამოვნებით მიიღო, აქ იქ მაჰმადიანებს გადაუცემო, ამ პირებმა აღიარეს, რომ ქართველების შთამომავალნი ვართ, ამას რალა ფიქრი უნდაო, ამასვე ამტკიცებს ჩვენი გვარები, სოფლის სახელები, მთისა და ბარის საო, ჩვენს დედა ენათ ქართულ ენას ვსთვლით, ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენშიაც წავიდეს განათლებაო.

ამ ჯამეების მოლები, ხოჯები და უფროსები ქართველები არიან, ერთს გარდა; ერთი ჭანია, მაგრამ ქართული ენაც იცის. აბაშიძეებმა მიმიწევის ახალს ჯამეზე. მე მივედი, ლოცვა დადგა და ლოცვის შემდეგ აბაშიძეებს რამოდენიმე ლექსი წავუკითხე, მოლები ყურს გვიგდებდნენ. რაკი გაიგეს თავიანთებური ლექსები, მაშინვე ალტაცებაში მოვიდნენ და ქართულად დაიწყეს ლაპარაკი, ძალიან გაკვირდნენ აგრეთვე, როცა იმათ ქართული ასოებით დაწერილი არაბული ლოცვები წავუკითხე, ის ლოცვებიც რომლებსაც ესენი ყოველ დღე აკითხებენ ხალხსა და ბავა-

შვებს. ყველა ესენა ნამდეიოლი აჭარელი ქართველები არიან. ამათი მუფთი და მუდერისიც ქართველები არიან. ქართველი დედის გაზღიულნი, ქართულად ლაპარაკობენ, თუმცა საუბედუროდ ქართული წერა-კითხვა-კი არა იციან და ცოტა ქართული ენაც სძულთ. ფანატიკობენ: ჩვენ ქართველები არა ვართო! ერთის ჯამეს გვერდით ამათ სკოლაც აქვსთ, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შეილები სწავლობენ და აქ თათრულს გარდა არაფერს ასწავლიან. ამ საქმის მოვალეობა უფრო ბათუმის მოლებს და მუფთის ედებათ, ესენი აჭარელნი არიან, ქართველი კაცები, ქართველი დედის გაზღიულნი; ამათი ენაც ქართულია, მაგრამ ესენი ამ ქართულს არ პატრონობენ. ყველგან იმას გაიძახიან: რომ ქართველნი არ ვართო! საკვირველია ამათი საქციელი. ნეტა რამ შეუცვალათ ასე გული და სული. ამათთვის სულ ერთია თავიანთ ქვეყნის ქართველნი და ოსმალეთიდამ მოსული თათარი, ამიტომაც არის, რომ ამ მხარეზე სულ თათარ ხოჯები არიან მოფენილნი. საუკეთესო ხოფლები ამ უცხო ხოჯებს უკავიათ, ესენი სარგებლობენ ამით და საწყალი ქართველი ხოჯები საცალა პატარ-პატარა ხოფლებში არიან მიყრილნი, სადაც ესენი შიმშილით იხოცებიან. მიზეზი ცნობილ იქმნა, რომ აქ თათარ ხოჯებს უფრო მიტომ გზავნიან; რადგანაც ესენი უფრო ადეილათ უქადაგებენ ქართველების სიძულვილს და ოსმალეთში გადასახლებას. ეხლა ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენ ქართველთ მაჰმადიანთ სასულიერო პირნი ამას ყურადღეაბას მიაქცევენ და ქართველთ მაჰმადიანებში ქართველ მოლების და ხოჯების რიცხვსაც გაამრავლებენ.

საზოგადოდ უნდა ესთქვათ, რომ უფროსი სასულიერო წოდების კაცნი უფრო ფანატიკოსები არიან, ვიღრე ხოფლის უბრალო ხოჯები. ფანატიკები არიან ნამეტურ

ის ქართველი მოლები და ხოჯები, რომლებიც ოდესმე სტამბოლში ყოფილან, ეს ფანატიკი მოლები თავიანთ დედა ენათ ქართულს ენას არა სთელიან, თუმცა არც არაბული იციან რიგიანად. ამ მოლების საშეალებით აქაურს ქართველებში თათრული წიგნებიც გავრცელებულა და ამის გავრცელების წაღილი მათში ისეა გალვიძებული, რომ ახალ ჯამეს გვერდით, თათრულის წიგნის მაღაზიაც გაუმართავთ და იქ ვაჭრობს ერთი ოსმალელი თათარი, რომელსაც ეფენდის ეძახიან. ამ ეფენდიმ რომ დამინახა ქართული წიგნებით არაფრად ესიამოვნა და ლანძღვა დამიწყო. ამ დროს აქ იყვნენ ქართველთ მაჰმადიანები და მათ უსაყვედურეს და გააჩუმეს. მე ვერა გავიგე რა მიზეზი ლანძღვისა. ამ დროს მე მას ერთი თათრულის ანბანის ფასი ვკითხე, თათრულს ენაზა ასე: „უსტა! ბუ ქიჩიკ ქითაბ ნეჩადრ?“ ე. ი. ოსტატო, ეს პატარა წიგნი როგორ არის? მე, განა უსტა ვარო, აი შე ქართველო, აი შე ასეთო და ისეთოვო. აქვე ისხდნენ ქართველი ხოჯები, რომლებიც აჰყვნენ მას და ჩემი გალანძღვა ისე ესიამოვნათ, რომ თითქოს ოსმალეთმა ხელ მეორეთ აიკლო საქართველო, როგორც ოდესმე თეით მათი მამა-პაპაც. აქ დიდი უსიამოვნება გაიმართა, მე ვაშოშმინებდი, მაგრამ არ იქმნა. აქ მოგროვდნენ ქართველი მაჰმადიანები. იმათ შორის გამოჩნდა ისეთი, რომელმაც ეს ეფენდი გააჩუმა. გაკიცხა და შეარცხეინა, ეს უცხო კაცია და რათ ეჩხუბებიო. ყველგან ცხადად შენიშნავს კაცი, რომ აქაურს ქართველებს სულ საზღვარ-გარეთელი თათრის მოლები, ხოჯები და სხვა უფროსი პირები აფანატიკებენ. მაგალითად: ამას წინად, პარასკევს, აქ ერთ მოლამ აი რა წარმოსთქვა ჯამეში, ქართველ მაჰმადიანთ წინაშე: ის თათარი კაცი, რომელიც ქართველების გვერდით ცხოვრებას ირჩევს, ეს

იმას გავს, რომ სიკვდილის შემდეგ იმას ჯეენეთში წასულა არ უნდოდესო, ჯეენეთს (სამოთხე) უარ ჰყოფსოდა სხვა.

ასეთს ქადაგებას ქართველი მაჭმაღიანნი ყურადღებას აქცევენ, მაგრამ გადასახლებას კი ვერ ეწყობიან, რადგანაც იმათის რჩევით ვინც გადასახლდა ოსმალეთში, ისინიც დაილუპნენო. თავიანთის შეიძლებისთვის კი მეტადინობენ ესენი და უმეტეს ნაწილს თავიანთ ყმაწვილებისას ტრაპიზონის; ორლის და სტამბოლის თაორულს სკოლებში ჰგავნიან სასწავლებლად. ქართველ მაჭმაღიანები ეხლა ცხადად დარწმუნდნენ იმაში, რომ ოსმალეთში გადასახლებულნი მოტყუვდნენ, დაილუპნენ და სხვანი. ჩვენი გადასახლება აქედამ არ შეიძლება, ეს ჩვენი მხარე ბევრად მდიდარია ოსმალეთზე. ეს ცხადად იქიდამაც მტკიცდება, რომ სიმინდს ერთთავათ აქედამ ეზიდებიან, აფხაზეთიდამ და ჩვენიდამ ყიდულობენ ფუთს მანეთად და იქ მიაქვესთ. იქ ფუთს შეიდ-რეა აბაზათ ჰყიდიანო. სიმინდით დატვირთული ნავები და გემები ყოველთვის მიემგზავრება ოსმალეთში. თუ კი ისეა, რომ იქ წავალთ და სიმინდს აქედამ დაუწყებთ ზიდეას, რაღაც წავიდეთ აქედამ, ჩვენ აქ უნ რას გვიშლის და გვიფუჭებს, რუსებმა ჩვენთვის რა წაახდინეს, არაფერი, ერთი კაციც არ გაუქრისტიანებიათ. ბათუმი დამპალი იყო ჭაობებისაგან და დღეს-კი მშენიერი სანახავია. მაშინ კაცი თვეში ვერაფერს ვერ იშოვიდა და დღეს კი ათ შაურს შოულობს დღეში. ჩვენში რაები არ გაკეთდა: გზები, ხიდები, რკინის-გზა, ათასი სხვანიო. ეს მხარე ოსმალების დროს ციმბირათ იყო გადაქცეული, ვინც იქ დაშავებდა რამეს, იმას დაიჭერდნენ და აქ, ჩვეში გზავნიდნენო, აქ რჩებოდნენ ეს ყაჩალები, ტყეებში სცხოვ-რობდნენ და ყაჩალობით ხალხს იკლებდნენო. ერთი სიტ-

ყვით მუდმივ შიში ციყავით, კაცი ოც ნაბიჯს ვერ გა-
დააღვამდა უშიშრადო. დღეს კი, მაღლობა ლმერთს, ეს
ასე ალარ არისო. ერთმა სთქეა: ჩვენი წასული ძმები რა უყუ-
რებენ ჩვენს ასეთს მდგომარეობას და ასეთ შშეიდობიან
მხარეს, ისინი უკანვე მოსტირიან თავიანთ მამა-პაპის მა-
მულს და ყოველთვის კიცხვას უძლენიან იმ პირებს, ვინც
ესვნი შეაგულიანეს და ხაჭართველოდამ ოსმალეთში გა-
დასახლეს.

ამ დღეებში შეეხედი ერთს ქართველს მაჰმადიანს,
ახალგაზღა ყმაწვილს, გვარად აბაშიძეს. ეს ყმაწვილი ბა-
თუმელ იბრაიმ-ბეგ აბაშიძის შეილია და დღეს ტრაპიზო-
ნის თათრების სამხედრო სასწავლებელში სწავლობს, ამ
სასწავლებელში ბევრი მაჰმადიანი ქართველები სწავლო-
ბენ თურმე და იმათ შორის თუთხმეტი ყმაწვილი ჩვენი¹ წერა-კითხეის საზოგადოების სასწავლებელში ნამყოფია.
ამ სკოლის მოწმობით მიუღიათ ეს ბავშვები, ამათ სკო-
ლის ფორმის ტანისამოსი აცვიათ და ქართული წერა
კითხეაც არა აქვთ დავიწყებული. მე გადავეცი რამოდე-
ნიმე ქართული წიგნი, მიიღეს. თავიანთი ადრესიც მომ-
ცეს და მთხოვეს, რომ კარგი იქნება თფილისიდგან ქარ-
თული წიგნები გამოვეიგზავნოთ ხოლმეო, იქ ძალიან
ვკითხულობთ წიგნებს, ქართულის კითხვას არ გვიშ-
ლიანო, ერთი ჩვენთაგანი რუსულ-თათრულის მთარგმნე-
ლად დაპირიშვილი, ამ სკოლის ზოგი მოწაფე სტამბოლის
სამხედრო ლიცეიშიაც ყოფილა. ამას გარდა ამათ მით-
ხრეს, რომ ჩვენ იქ ქართული წიგნები გვაქვს „დედა-ენა“
და „ბუნების კარიო“ და იქ დაბეჭდილი ზოგიერთი ლექ-
სები ზეპირად ვიცითო. ეხლა აქა ვართ, ერთი თვით და-
გვითხოვეს და ჩვენ შინ წამოველითო. ენკუნისთვეში დაუ-
ბრუნდებითო, მთხოვეს არ დავიწყება, ჩვენ ქართველნი

ეართ და ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ ჩვენი ენა საღმე და-
ვიუიწყოთო.

ამ დღეებში გავიცანი ერთი აჭარელი ბევი, სულეი-
მან-ბევ თულუმ-ბაზალე ბევანიძე, ანუ ძველად პირვესახუ-
რის შეილები, ესენი თამარ მეფის პირვარეშებად ყოფი-
ლან, თვითონ ეს ბევი ახალგაზდა კაცია, რუსობის შემ-
დეგ ქართული და რუსული ენა და წერა-კითხვაც შეუს-
წავლია, გრ. გურიელს ნათესავად მოხვდება. აქა იქ
იჯარებს იღებს, ამისი ორი ძმა სტამბოლის ლიცეიში
სწავლობს. ლაპარაკი ჩამოუკდე, კარგი იქნება, რომ ქარ-
თული არ დაივიწყოთ მეთქი, რა ბრძანებაო, მიპასუხა:
თათრების ხელში სამასი წელიწადი ვიყავით, ჩვენი ენა
არ დავივიწყეთ და ნუ თუ ეხლა დაეივიწყებთ, ტროცა ჩვენ
დაგიახლოედითო. დავიწყება კი არა, უფრო კარგად ვსწავ-
ლობთ და მოღებსა და ხოჯებს ყუჩს არავინ უვდებსო.
შემდევ სიამოვნებით წაიკითხა თავიანთებური ლექსები
და დამპირდა, რომ მომავალს წელს თუ აჭარაში მოხვალ
და წიგნებს მოიტანთ, დადს დახმარებას აღმოგიჩნ და
მთელს ქართველ მაჰმადიანთ სოფლებში დაგატარებთო,
ჩვენს ბევებს ძრიელ სურთ რამ აჭარაში საპალი-
ნო სკოლა დავაარსოთ. ჩვენთვის ასეთი სასწავლებელი
დიდად საჭიროა, რაღანაც აქეთ ვაზი ძალიან მრავლობს,
ქართველ მეუკების დროს აჭარაში ბევრი ღვინო მოდი-
ოდა და ძალიან გათქმულიც იყო. ამ პატივცემულშა სუ-
ლემან ბევმა თათრული კითხვაც იცის, სტამბოლიდგან
ამას თათრული გაზეთებიც მოსდის, პატარა ხანს უკან
მითხრა: „ძმობილო, ჩვენი შეერთება სიტყვით იქმნა და არა
საჭირო, ვითომც ჩვენ გავიცანით ერთმანერთი, მაგრამ
მც თქვენ არ გიცნობთ დახლოედით და თქვენ მე. თქვენ
თუ რამ რჯულის საქმეზე მოსულხართ, გიჯობთ, რამ

ჩუმათ იყოთ და არსად არაფერი სთქვათ, თორემ რაც
დარჩენ ისინიც აიშლებიან. ჩეენში დარჩენილია ძეელად,
რომ აჭარა ასი წელიწადი ებრძოლა თათარს გათათრება-
ზე, ვიდრე ჩეენი მამა პაპები გაუთათრებიათ და თქვენ აბა
ათ წელიწადში რას გახდებითო, გარდა ამისა ნათქვამია,
რომ ქობულეთი ძალით არის გათათრებული და ძალით-
ვე გაქრისტიანდებაო და აჭარა ნებით არის გათათრებუ-
ლი და ნებითვე გაქრისტიანდებაო, ჯერეთ წიგნი გვასწავ-
ლეთ, გაგვიცანით, გაგიცნათ, და მერე სხვა ფრივ იქნე-
ბა საქმეო. მე უთხარი: დაგარწმუნებთ და გეფიცებით პა-
ტიოსნებას, რომ ჩეენ სახეში სულაც არ გვაქს ესენი,
ჩეენს ზრუნვას მარტო თქვენი გვარტომობა შეადგენს.
თქვენი სამამეულო ენა, რომელიც სამი საუკუნის განმავ-
ლობაში ათასის წვითა და დაგვით შეინახეთ, ჩეენ შარ-
ტოდ ის გვსურს, რომ თქვენში აქამდის მკედრათ და-
მარხული ენა ალსდგეს და ისეთი ბრწყინვა მიიღოს, რო-
გორც შოთა რუსთველის დროს იყო დასავლეთ საქარ-
თველოს ნაწილში. მან სთქვა: ბატონო! თქვენ ამის ფიქ-
რი ნუ გაქვთ, ჩეენ ქართულს ენას თქვენზე უკეთ შევი-
ნახავთ. თქვენ ერთი ის ბრძანეთ? რუსულს თქვენში უფ-
რო ბევრნი ლაპარაკობენ, თუ ჩეენში თათრულსაო? ჩეენი
უმეტეს ნაწილმა ბეგებისამ და მოლებისამ არც თათრუ-
ლი ენა იციან და არც წერა-კითხვაო, მაგრამ თქვენში-კი
ყველა უცხო ენაზე ლაპარაკობენო; ნამეტურ ქალები.
ჩეენში კი ერთ ქალსაც ვერ ნახავთ; რომ ის თათრულად
ლაპარაკობდესო. საზოგადოთ ამან ბევრი რამ მართალი
სთქვა და თავის თავი ნამდვილ ქართველ მაჰმადიანათ
აღიარა. ჩეენ იმედი გვაქვს, რომ ეს პატივცემული პირი
მომავალ წელს საკარისს მფარველობას აღმოგვიჩენს.
ერთად ერთი საფიქრელი და სადარდელი ახლა ამ პირე-
ბისა ის გამხდარა, რომ თავიანთ წოდების შესახებ რა-
მე გააწყონ, ამ ღირსებით დაშთენა დღეს ჩეენ აღარ გა-
მოგვადგებაო, ჩეენ უნდა ვეძიოთ ის გვარიშვილობა, რაც
ჩეენი მეფეების დროს გვქონდაო, დღეს კი ჩეენ არაფერი
ღირსება გვაქვს, ჩეენი ძველი წერილები და საბუთები
სტამბოლშია წალებული, ჩეენ არ ვიცით ესენი საღ ინა-
ხება, ახლა გვინდა თავად აზნაურობის შესახებ დავა და-

ვიწყოთ და არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ, იმედია, რომ ამ საქმეში საქართველოს თავად აზნაურებიც დაგვეხმარება და იმეცადინებენ, რომ ჩვენც მოგვენიჭოს უფლება და იმათან შევერთდეთ სამუდამოთ. ყველა ბეგებს თურმე ეს აქვთ სადარდელათ და ყველა ამას ნატრობს, თუ როდის რა გვეღირსება და რა იქნება ჩვენს თავზეო. მიწების გამიჯვნასა და განსაზღვრის საქმეებსაც ესენი ძრიელ შეუფიქრიანებია. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მიწა ოსმალეთში არაეს ეკუთვნის, იგი სახელმწიფოა, ამიტომ თქვენი მამულები სახელმწიფოთ უნდა წაეიდესო. ჩვენ დაუმტკიცეთ, რომ ეს ჩვენი მხარე არც სათათრეა და არც ჩვენა ვართ თათრებით. ჩვენ ქართველები ვართ, მხოლოდ რჯული ოსმალური გვაქვსო. ერთმა იმათგანმა მითხრა: ბათუმის სუდში მკითხეს: ვინა ხარო! მე უთხარი: რომ ქართველი ვარ, ძალა დამატანეს, რომ თათარი ხარო, მე უთხარ: ქართველი! იმათ თათარიო. ბოლოს მთარემნელი მოიყვანეს და იმან მკითხაო, მასაც ასე უთხარი. არაო, მაინც მითხრა: შენ თათარი ხარ და რჯულიც თათრული გაქვსო, მე მაინც ჩემი უთხარი; მე ქართველი ვარ და ქართული ზნე-ჩემულება მაქვსო, ჩემს რჯულთან რა ხელი გაქვსთ, როგორც გინდა ისე ვილოუცებო. ამავე პირმა აღვიარა: ფანატიკების ბრალია, რომ ჩვენს წერა-კითხეის საზოგადოების სასწავლებელში 10 ყმაწვილზე მეტი არ სწავლობს ქართველთ მაჰმადიანი, თუმცა ეს სას-წავლებელი მათთვის არის დაარსებული და 10 ყმაწვილი-კი არა, 60—70 ყმაწვილი უნდა იყოს მოსწავლე. ესენი ეუბნებიან ხალხს: რომ თქვენს შეილებს ქართველების სას-წავლებელში ნუ მიაბარებთ, თორემ სულითაც და ხორ-ცითაც წაწყდებითო, ხალხიც ყურს უგდებს, შეილებს ისე უსწავლელად სტოკებენ და ან თუ ასწავლიან, მოლასთან მიჰყავთ ყმაწვილები, ამის წყალობით ქართველი მაჰმადია-ნები სწავლა განათლების მხრივ ძალიან უკან არის ჩა-მორჩენილნი, სამზღვარ ვარეთ ნასწავლი ქართველი მაჰ-მადიანები-კი ამათ არ ადგებათ, რადგანაც სამშობლო ენი-სა და ერთს სიყვარულიც უქრებათ, ამათ ქართული ენა და უსწავლელი ხალხი აინუშიაც არ მოსდით.

ბათუმში სავაჭრო საქმეების მწარმოებელმა ქართ-

ეელ მაჰმადიანშა ბატონშა მჟავანაძემ გაღმომცა, რომ ბათუმის ვაჭარ ქართველ მაჰმადიანებთან ქობულეთის სკოლის დაარსების შესახებ საუბარი მქონდა და გადავსწყვიტეთ, რომ ამ თავითვე 200 მან. შევწიროთ და შემდეგაც არ მოვაკლოთ ჩეენი ზრუნვა, ოლონდ კი ჩეენს ბავშვებს ქართულსა და რუსულს ასწავლიდნენო.

ამ პატივცემულმა ქართველ-მაჰმადიანშა დიდი გულისმოდგინება გამოაჩინა. ეს დიდად მოწადინეა ქართველ მაჰმადიანებში სკოლების დაარსების. თვითონ მეტად ზრდილობიანი კაცია, ნამდვილი ქართველი. ამას ერთობ მჭიდრო კავშირი აქვს ბათუმში მყოფ ქართველ მაჰმადიან მოწინავე პირებთან და ყველას ეუბნება და ავალებს, რომ განეითარების გზას შეუდგეთ და ჩეენი შეილებისთვის რამე ვიზრუნოთო. სწორედ საქები არიან ასეთი ქართველი მაჰმადიანები; ღმერთმა ქმნას, რომ ასეთი კაცები გამრავლდეს და ამათის საშვალებით და გამრავლებით მათში სწავლა განათლების სიყვარულმაც აიღვას ფეხი. ეს იყო ჩეენი მამა პაპის ნატერა, წალილი და ანდერძი და ესევე შეადგენს ჩეენს დიდს ნატერას, სიხარულს და მისწრაფებას. ამიტომ ვისურებთ და ვინატრებთ, რომ ქართველ მაჰმადიანებში სწავლა განათლებას ფართო ალორძინება მიეცეს და ამ ალორძინების საშვალებით მათში სწავლა-განათლება და მეცნიერების სიყვარულიც დამკვიდრდეს. ცხადი საქება, რომ ესენი მაშინ აღვილათ გაარჩევენ იმას, თუ სარწმუნოება რა არის და გვარი რა არის. იმედია, რომ მაშინ ესენი გვარსა და სარწმუნოებას ერთათ აღარ არევენ. გაიგებენ, რომ სარწმუნოება სხვა არის და ქართველობა სხვა. რომ თავის დღეში მათ სარწმუნოებას ქართველობის უარის ყოფით არაფერი მიემატება. ამის ნიშნები უკვე მათში სჩანს, მხოლოდ ამას პატრონები უნდა, გულ შემატკიცვარი კაცები. აქეთ ქართველი მაჰმადიანები ჯერეთ ისე გაფანატიკებულები არ არიან, როგორც ჯავახეთში. ჯავახეთში თუმცა სკოლებიც დაიმართა ამ 15 წლის წინეთ, მაგრამ უხეირო მღვდლების და მასწავლებლების მეოხებით ფანატიკობა უფრო წინ წავიდა, აქ თათრულმა ენამ ფეხი აიღვა და ჯავახეთის ბევრს სოფელში მცხოვრებთ დღეს ქართული ენაც და-

აფიშულათ, აქაურ ბეგებსაც კი არ სწამთ ის, რომ ოდესმე ქართველთ შთამამაელნი ყოფილან, პირში-კი გეტუეიან, რომ დიახ, აღრე ქართველნი ვყოფილებართო, მაგრამ პირს უკან კი გულში ხელ ჩაიკრავს. ამას ბეგები შერებიან აქეთ და უბრალო ხალხზე რაღა ვსთქვათ. ეს რასაკეირველია პირველი ჩვენი უხეირობის ბრალია და მეორე იმისი, რომ რაკი ეს მხარე 1827 წლებში საქართველოსთან შემოერთდა, მას შემდეგ ოსმალოეთის ხოჯებმა ამ მხარეს დიდი ყურადღება მიაქციეს, აქ ოსმალოს მოლები ჩუმათ შემოდიოდნენ და ხალხს ქართული ენის ზიზღს და ფანატიკობასაც უნერგუადნენ. შიში ჰქონდათ ამათ, რომ არავინ გაქრისტიანონო. გაქრისტიანებით კი არავინ გაუქრისტიანებიათ და ამათ-კი თავიანთ სამშობლო ენა დაკარგეს! დაკარგეს იმ მხარეში, რომელიც ჩვენთან კარგა ხნის წინეთ შემოკავშირდა. რას იტყვის ამაზე ჩვენი ქართველობა? ის ქართველობა, რომელთაც შეძლება და ძალაც აქვსთ და ამის ზრუნვა და მოვალეობაც აწევსთ კისერზე. ახალ შემოერთებულ მაჰმადიანებზე კი ჩვენ ამას ვერ ვიტყვით, აქეთ უფრო შეუნახავთ ქართული ენა და ჩვეულება. ამათში ყველა ქართულად ლაპარაკობს, წერა-კითხეაც ბევრმა იციან, ბევების ზოგი ერთნი ქართველობენ და პირდაპირ ამბობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართო, ამავე ჰაზრის არიან ხან და ხან მათი სასულიერო პირნიცა და ბევრ მათაგანმა წერა-კითხეაც იცის ქართულად.

V.

ამ მხრის ქართველების გულის სატკენი ერთი მხოლოთ ის არის, რომ საერთოთ ყველა ქართველ მაჰმადიანებს თავიანთი თავი დიდად ობლათ მიაჩნიათ და სულ იმას დარღობენ, რომ ჩვენ დიდ-კაცები ალარ გვყეანანო. ჩვენი დიდი კაცები ომის შემდევ ასეთი მისამართი გადასახლდნენ და ჩვენ კი აქ ობლათ დაგვეტოვეს, თუმცა ამ ობლობით ჩვენ არაფერი წაკვერთო და ბევრათაც წინ წაველითო, ოსმალეთის სახემწიფოში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიან დიდ-კაცების და ფაშების შესხებაც ხშირათ საუბრობენ. საღაც-კი შეხედებით, ყავახანაში, საღმე საეკროში, ჯამე-

ში, მედრესეში თუ სხვაგან. ყველგან ამას ამბობენ: ეჭ, ჯანუმ, ჩეენი დიდი კაცები სხვაგან ცხოვრობენ და გინდრომ აქ იყვნენ, მაინც დღეს ისინი ჩეენ ვეღარ გამოგვადგებოდნენ, იმიტომ რომ, დღეს აქ რუსული ენა არის საჭირო და იმათ კი რუსულის ლაპარაკის სიტყვაც არ იციან. ამით იმედოვნებენ ესენი, თორებ ეს რომ არ იყოს, მაშინ სულ მათ წუხილში იქნებოდენ. მე ბევრ ალაგას და ბევრს პირს უთხარი, რომ ნუ დარღობთ, ჩეენ ყველა ქართველები ვართ, ჩეენი დიდი კაცები თქვენი დიდი კაცებიც არიან და თქვენი ჩეენი მეთქი. ეს სულ ერთია, ჩეენი დიდი კაცები ისინი არიან, ვინც ჩეენთან არიან და ჩეენს ჭირსა და ლხინში მონაწილეობას იღებენ მეთქი, მაგალითად: მე მათ შოთა რუსთაველი უხსენე, დავით ალმაშენებელი და თამარი. თამარზე ყველამ მოწიწება განაცხადა. ამის ამბები ერთ ალაგას მკითხეს, როცა ვეუბნებოდი, იმ დროს სულ სმენათ გარდიქცნენ. ამათშიაც მოფენილა ძეველი ქართული სახალხო ლექსი: ლექსის ბევრნაირი ვარიანტია, ყველგან გლოცნაკი იხატება, რომ თამარ დედოფლის საფლავი დაკარგულია ჩეენთვისაო. აი:

„ალსდეგ თამარ დედოფალო,

შენთვის სტირის საქართველო

სად ვიყავით, აქ სადა ვართ,
მწუხარებაში რათა ვართ!?

სასიკვდილოთაც მზათა ვართ;

ალზდეგ თამარ დედოფალო!

სტირის შენთვის საქართველო.

თან გამოყენენ ქართლ-მამაცნი,

აქ დაერჩომილვართ დიაცნი,

მაბეზლარნი და ზარმაცნი.

ალზდეგ თამარ დედოფალო,

სტირის შენთვის საქართველო.

დედაო, შენ, ძალოვ ჩეენო,

სადა ხარ შენ ხმალო, მჭრელო,

ქართველთ განშანათლებელო.

ალზდექ თამარ დედოფალო,

სტირის შენთვის საქართველო“.

ბევრ ალაგას ერეკლეს სახელსაც ახსენებენ. ერთმა

ხოჯამ მკითხა: ერთი დიდი ერეკლე ხანი რომ იყო, იმის შთამომავალი დღეს ვინ მეფობს თფილისში. მე მიუგე რომ აღარავინ, მაშ რა იქნენ? რუსეთში გადასახლდნენ და იქ დაიხოცნენ ამან შუბლზე დაიკრა ხელი, ჰაიგიდი, ჰაი! მეორემ მითხრა: საქართველოს რა აკლდა, ბატონოვო, ყველაფრით მდიდარი იყოვო, მხოლოდ ერთი ერთობა აკლდაო, ჩვენ რომ ერთობა გვქონიყო, მაშინ ვერც ასმალი გაგვტეხდა და ვერც სპარსენიო, მაგრამ ჩვენი უოდვები ზიდონ ჩვენმა მტრებმათ, ერთმა სთქა: ჩვენს ქართველობაზე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ ნამდეილი ქართველები ვართ, ვიდრე რუსეთი მიგვიღებდა, მანამდის ჩვენ ჩვენს თავებს ქართველებათ ვალიარებდით.

1850 წლებამდის თათარს ჯარიც არ მივეცით, აუჯანყდით, ჩვენ შეუთვალეთ, რომ ჩვენ ქართველები ვართ, თქვენთვის ჯარის კაცი არც გვიძლევია და არც მოგცემთო. გარდა ამის ბერლინის კონგრესზე ჩვენ დეპუტაციაც გავგზავნეთ და კონგრეს ესთხოვდით, რომ ეს ჩვენი მხარეც გაენთავისუფლებიათ ისე, როგორც ბოლლარელების და სხვების, ამისთვის დიდი დახმარება მოგვცა ანგლიის სამართველომ-სამი ათასი სტრელინგი. ამავე თხოვნით ჩვენ უნდა მიგვემართა რუსეთისთვის და ამ საქმეში დახმარება და მფარველობა გვეთხოვნა, გვეთქვა, რომ ჩვენ როგორც ქართველთ შთამომავალნი და ასმალოს ხელში მყოფნი ეგები გვიპატრონოთ და გაგვათავისუფლოთ. ეს განძრახვა ასმალეთმა შეგვიტყო, კაცები გამოგზავნეს, სუყველა მოთავეები დაიჭირეს და წაიყვანეს ასმალეთში, დღევანდლამდის კაცმა არ იცის მათი საქმეო, ეს სუყველა კი იმან გამოიწვია, რომ ჩვენ კენ ასმალებმა სალდათის თხოვნა დაიწყესო. სალდათი მაინც წაიყვანეს და ამ საშუალებით შეისწავლეს ჩვენებმა თათრული ენაო, თორემ ჩვენში სულ არ იცოდნენ თათრულიო.

აი რამდენიმე ცნობა იმ ქართველ მაჰმადიანთ ფაზების შესახებ, რომელნიც დღევანდლამდე ასმალოეთში სცხოვრებენ და იქ ამათ ქარგი საპატიო თანამდებობაც უჭირავსთ; იქ ბევრმა მათგანმა ქართული წერა-კითხვაც იცის და ასმალოეთიდამ საქართველოში თავის ნათესა-იცის და ასმალოეთიდამ საქართველოში თავის ნათესა-იცის ქართულად სწერს წერილებს, ასეთ ფაშებისაგან მოვებს ქართულად სწერს წერილებს, ასეთ ფაშებისაგან მო-

წერილ წერილებს კაცი ხშირად შეხვდება. აქეთ სხვა და სხვა ოჯახებში. 1, ოსმან ფაშა, გვარად თავდგერიძე, ძველი ქართველ თავადის შეილის თავდგერიძიანთ შთამომავალი, ქართული ენის კარგათ მცოდნე, ამან ქართული წერა-კითხვაც იცის, და ნათესავად მოხვდება პატივსაცემ თავად გრ. გურიელს. დღეს ეს ფაშა ტრაპიზონის გუბერნატორია, ომის გათავების შემდეგ ეს ფაშა ტრაპიზონიდამ წერილებს სწერდა ქართველ მაჰმადიანებს და ურჩევდა, რომ საქართველოდამ ნუ აიყრებითო, ეგ ქვეყანა ძეირფასი ქვეყანაა, თქვენი მამა-პაპის სამშობლოა. ნუ გადმოსახლდებით აქეთ, თორემ ბოლოს ინანებთო. ჩვენ ნუ გვიყურებთ, ჩვენ ფაშები ვართ, ჩვენ დიდ ჯამაგირებს გვაძლევენ და ამიტომ წამოველით აქეთ, თორემ თქვენსაეით რომ ვიყოთ, მაშინ ფეხსაც არ მოვიცვლიდით მანდედამაო, ყოველთვის ამ აზრის ყოფილა ეს ფაშა, მაგრამ ბევრმა ამ ფაშის სიტყვები არ დაიჯერეს, დაიწყეს ოსმალეთში გადასახლება და ბოლოს ამ ფაშის სიტყვაც გაუმართლდათ, მაგრამ რალას იზაედნენ, გვიან-ლა იყო. ოსმან ფაშას-კი საღაც უნახავს ეს გადასახლებულნი ყველგან და ყოველთვის დიდი საყვედურები უთქვამს, რათ გადახველით ჩემ სიტყვასო? ამათი ცოდვა ზიდოს ალი ფაშა თავდგერიძემ, იყოს პასუხის მვებელი საქართველოს ისტორიაში, რადგანაც ერთი მოთავე პირთაგან ესეც არის ქართველების გარდასახლებაში. 2, ალი ფაშა თავდგერიძე, ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვაც იცის, ამისაგან მოწერილი წერილები აქეთ ბევრს აქვს, სხვათა შორის გრ. გურიელსაც, რადგანაც გრ. გურიელს ეს ნათესავათ მოხვდება. ომიანობის დროი ამ ფაშას ლალატს სწამებდნენ, ამიტომ ალი ფაშას და იმ დროის ბათუმში მყოფს ოსმალოეთის უფროსს სამხედრო მინისტრებს დერვიშ ფაშას ჩხები მოუვიდათ და საჩივარიც ასტეხს, გამოჩენილს და დიდათ ცნობილს ალი ფაშას ეითომც და ლალატის გამო ხალხმა შემდეგი ლექსი გამოუთქვა, რომელსაც კარგათ მღერიან ქართველი მაჰმადიანები. ალი ფაშა დღეს მთელს ოსმალეთსა და მაჰმადიან ქართველებში დიდათ ცნობილი კაცია. აი ლექსიც.

„ხეანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ორივე ეში.
ალი ფაშამ გვიღალატა, აგვიყვანა კვირიკე ში.

მან რომ ფულები აიღო, ჩეენ დაგვტია სხვისა ხელში,
კაი რომ არ დამართეთ, ბაწრით ჩათრიეს გემში,
მისი კვირილი გვესმოდა, სუფსას გაღმა ბაილეთში».

დევრიშ ფაშა ალი ფაშას ეუბნებოდა: რომ თქვენ „
ქართველები ხართ და ჩეენი ღალატი გინდათო, რუსები-
საკენ გადახვალთ და გვიღალატებთო. მაგრამ მე კაი დროს
მოგასწარითო, ალი ფაშა, რასა კვირეველია წინააღმდეგს
ამბობდა, ეს მართალიც იყო, რადგანაც ქართველ მაჭმა-
დიანები დიდი ერთგულნი იყვნენ იმ ოსმალეთის სამეფო-
ისა, რომელმაც ოდესმე მათი ქვეყანა აიკლო, ყველაფერი
აქცივ-ანგრია და ბოლოს კი მაინც ყველა თვის. მორჩი-
ლათ გაიხადა. ომის გათავების შემდეგ დერეიშ ფაშას სა-
წინააღმდეგოთ და დასამტკიცებლათ სულთნის წინაშე, ალი
ფაშა გადასახლდა ოსმალეთში და ნიშნათ ერთგულების თან
გადაასახლა შეიდი ათასი კომლი, რომლებიც აფრიკისა-
კენ იყენენ გადაკარგულნი და იქ დასახლებულნი. ალი
ფაშა, როგორც თავდკერიძის გვართაგანი ნათესავი იყო
გრ. გურიელისა, ამიტომ გრ. გურიელი ბევრს ეხეეწებო-
და თავის ნათესავს: ალი-ფაშავ! შენ თუ მიხეალ წადი
ოსმალეთში და ამ ხალხს ნუ აგულიანებო, მაგრამ ალი
ფაშა უარს ეუბნებოდა, არ შემიძლიან, მე რუსების ახლოს
ვერ დავრჩები, მე თათარი ვარ, არ შემიძლიან აქ ყოფნაო.
ასე და ამ გვარათ ალი ფაშა გადასახლდა ოსმალოეთში
და თან გადაასახლა კარგა ბევრი ქართველები. ამ გადა-
სახლებულთ უმეტესი ნაწილი იქვე გაწყდა, საღაც დაასახ-
ლეს, ალი ფაშას კი ლირსებია თავის გულის წაღილი,
სულთნისაგან მაღლობა მიულია და დიდი საჩუქრები.

ანგარების მოყვარე და შურის მეძიებელი ალი ფაშა
დღეს სტამბოლში სცხოვრებს, აქ მას ულუფას აძლევენ
და არსად უშვებენ სხვა და სხვა მიზეზების გამო. ამ ფა-
შასაგან ქართულად მოწერილი წერილი პატივუემულს
გრიგოლ გურიელთან ვნახე. ალი ფაშა ომის გათავების
შემდეგ ბევრს მეცადინეობდა რომ გრ. გურიელისათვის რა-
მე ბრალდება დაედო, მაგრამ ვერც ეს მოუხერხდა, ოსმა-
ლეთში ამისაგან გადაყვანილი ქართველნი კი ნათლად

დარწმუნდნენ ალი ფაშის ღალატსა და მოტყუებაში. 3, რამიზ ფაშა დუმბაძე, მოხუცებული კაცია. 1855 წ. ომებში განითქვა სახელი. ქართული წერა-კითხვაც იცის. 4, ფერხად ფაშა მაჭავარიანი, ქართული ენისა და წიგნის მცოდნე. 5, მეჰვედ ფაშა შავიძე, ქართულის ენისა და წიგნის მცოდნე. 6, ჰასან ფაშა თავდგირიძე, ქართულის ენისა და და წერა-კითხვის მცოდნე. 1855 წლებში განითქვა ამ ჰასან ბეგმა სახელი და ფაშობაც მიიღო. ამან აიღო ოზურგეთი და ორპირში აპირებდა ჩასელას. იმედოვნებდა, რომ თვითისის ფაშად მე დავჯდებიო. მაშინ ამას გამოუთქვეს შემდეგი ლექსი.

ჰასან ბეგი თავდგირიძე, გარისხული ლვისგან მეტი, თათრის ფაშობა იშოვა; სულ მთლად დაავიწყდა ლმერთი, შეკვეთილში შემოვიდა; იძახოდა: — „ოლან გეთი“, ლენერალმა უოსტატა, დაუტოვა ოზურგეთი. ლანჩხუთამდის მას ვაცალოთ, მერე ჩენ გვიყუროს ერთი, კულურლულებ დავუძახოთ, და ალარ გაუშვათ ერთი, გრაზედ ვიყავთ მილიცია, რუსის ჯარი მეტათ ცოტა, ცხრა ათასი თათრის ჯარი, წინ დაგვიხვდა, გვებოროტა. პოლკოვნიკმა ერისთავმა, წინ გაუშვა ერთი როტა, გაექცენ და ჩაერიცნენ, მიჭირები აიშალა, ვინც არ მოჰკლეს, დაიჭირეს, ყელს მოაბეს დიდი ფშალა, ცხრა ათასი კაცის რიცხეში, შეიდასმა ძლიერ გაიმშრალა. ჰასან ფაშა ჩემი ძმაი, თავ მოჭრილი დავინახე, წინ დღეებში მან გადამწვა, მით მომიღო მე მახე, რადგან ჩემი ძმა იყო, ბოლოს მაინც მე დაემარხე.

ამ ფაშას შესახებ ბეგრი ამბებია დარჩენილი. 7, ჯეშილ ფაშა ყანთელიძე, ქართული ენისა და წერა-კითხვის მცოდნე. 8, რამაზ ფაშა. 9, ხამიდ ფაშა. 10, რაშიდ ფაშა. ძმანები დუმბაძეები. 11, ვასილი ფაშა დუმბაძე, შეილი რაშიდ ფაშასი. ქრისტიანული სახელი უწოდებიათ მისთვის, რადგანაც მისი პაპა ქრისტიანი ყოფილა და სახელათ ვასილი რქმევია. 12, ხოსროე ფაშა, ერისთავი, დიდი მინისტერი, ეს ფაშა ერთს დროს ინგლისში ოსმალეთის ელჩადაც ყოფილა, იცის ქართული ენა და წერა-კითხვა. ამას გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და სხვანი. ევროპიულათ არის განათლებულიო. 13, მაჟმედ ფა-


შა ანთელიდე. 14, ხასამ ფერი ფაშა აჭარელი, სოფელ
ბორჩხელი, ევროპის ბევრს სახელმწიფოებში ელჩათ ნამ-
ყოფი, იცის სხვა და სხვა ენები. 15, ღეღე ფაშა აჭარე-
ლი, სოფელ ქედელი, ქართული ენის და წერა-კითხვის
მცოდნე. 16, შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი, მცოდნე ქართუ-
ლი ენისა და წერა-კითხვისა. 17, სელიმ ფაშა ცეცხლაძე,
ქართული ენის მცოდნე. 18, მეჰმედ ფაშა გუბჯაძე, ქარ-
თული ენის და წერა-კითხვის მცოდნე. აფრიკის მთავარ
სარდალი. 19, მუსა ფაშა ხუნდაძე. 20, მეჰმედ ფაშა ვახ-
ვახიშვილი, აღრიანოპოლის გენერალ გუბერნატორი. ამ
ფაშის დიდი მოყვარეა აღრიანოპოლში მცხოვრები ქართ-
ულთ კათოლიკე მოძღვარი პატივცემული ათანასე ნას-
ყიდოვე, საფრანგეთის უმაღლეს სასულიერო სასწავლე-
ბელში გაზღილი, კარგათ მცოდნე ქართულის ენისა, მქა-
დაგებელი და დიდათ მოყვარე ქართულის მწიგნობრო-
ბისა, ეს პატივცემული პატრი ბედმა აღრიანაპოლში გა-
დახვეწა, აქ ეს იმყოფება ქათოლიკების ეპისკოპოსის
თანაშემწედ და სკოლების უფროსად. ამ პირს მისვლა
მოსვლა აქვს ვახვახიშვილთან. ვახვახიშვილი დიდათ სწუხს
საქართველოს გამო. ამ პატრი მისთვის წიგნებიც გაიწე-
რა და ერთ დროს მე ამისაგან დიდი თანაგრძნობის წე-
რილიც მივიღე. ამის შესახებ ორჯერ სამჯერ აქაურს გა-
ზეთებშიაც იყო ცნობები დაბეჭდილი, რომელიც ეკუთვ-
ნის საქართველოს დიდათ მოყვარე შეილს პატრი ათანა-
სე ნასყიდოვს. 21, ბერი ფაშა თავდგირიძე, მაკელონისა
და ალბანიის მთავარ სარდალი; ქართულის ენის და წე-
რა-კითხვის მცოდნე. ამ ფაშებს გარდა სხვებიც სცხოვ-
რებენ და აქ ამათ დიდი აღვილებიც უჭირავსთ, მათი მნა-
ხველი ქართველი მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ ფაშებს
საქართველო დიდათ უყვართო. ჩვენ კაცს რომ ნახვენ
ოსმალეთში, აღარ იციან რა ჰქნან და ყველას იმას
გვეკითხებიან, თუ რუსის ხელში როგორ ცხოვრობთო?
ჩვენს კაცს დიდს პატივს სცემენ და ზოგი გრთი სულ იმ
რჩევას იძლევიან, რომ მაჰმადიანთ ხოჯებს და მოლებს
ნურაფერს დაუჯერებთო და აქეთ ნუ გაღმოსახლდებითო.
თქვენი ქვეყანა მეტად სჯობია ოსმალეთსათ. ამასაც დღეს
თუ ხვალ სხვა და სხვა სახელმწიფოები აიღებენ და თქვენ

շահեց մօցոմարյոბանո հայարձեծոտո, օսց Շեհեցլու վո-
րո և շահոնա Շեհեցլու լոկինսառ. զարդա ամու, ցը տվյալն
սամամյուլո մեսահեց, մանց ուլքուրուտ տվյալն մամա քաքաս,
տվյալն թինաքրեցն, մատո սագլաւյեծուց մանց արու և մա-
տո սալուպաւյեծուց, ჰայրուց մանջապարո և շահոն, թիգալու
և մոսացալուց. ռոմ ալոռս զինթեմ, մանոն հայեց պահամ մանց գա-
լուրիոն ցուլուո.

հայեց սասու մոցնու և, հայեց նոմեց յարտայել մաքմա-
նունց պահամ յարցատ մոնցան, հոմ այսեւամ մատո յաճասակլուց
ուժրալո ոյնց պահամ ամուրու աելու օսց ալար լապահակոնց ամա-
չեց. տղմու պուր-պուր կրկու մուղուան եռլուց, ամու և ենու
ուժրու աեսլուսուս յարտայել մաքմունունց պահամ մուղեծու-
լո. հոցուրու ոյնց բուժուն, „ույրուա-Շու“ յայնո յելաւ յա-
ճուն այսեւամ. մացրամ սպազուն, սպազուն մուրու, հաճցա-
նաւ զոնց-կո այսահա-յուղուլույունուն յաճասակլուն, օսոնու-
կո սեսահեց սրբմունտ մոստուրուն տացունտ սակարայել սա-
յարտայելուս. յայնո յաճասակլուն, տացունտո մամուլուն ոե-
րատ լաստույց, յայնո այ սեցեմա լաստույց, մասչեց յաչու-
տու մշակունու սակլուն, յարենց յամարտա, զափունա,
մուշանա և սեցան. թինատ յու հաս յացու այ, արագյուրու,
յառան մեցու սեցա ահա ոյու հա. յարտայել մաքմանունց պահամ-կո հա-
յակուտու ուսմալույունու և հա մուղու ուսմալույունու մտացրո-
նուսացան? ահագյուրու սույուտ, յափուրուն, սոլարակո, սոմուշելու և
՛միմունո. ամատ սամշոնելունու ամատո մուճցուլունու լարինայ-
րունուն և գույց յարտայելու մաքմանունց պահուն ուլքյուրուն
ամ աեսլու քարունուն և լանանց պահուն, հոմ յու հա
մոցույուն, հատ յաճուրուսակլունու այսեւա, հաթու ոյ ար
լազրիու և հայեց մամուլուն հայեց ար թացույուն թին ցյեխու.
մացրամ հալա լորու, յուրու յացուն. մուրու մցունու յարտ-
այելու մաքմանունց պահուն ունց ալցուլուտ մոնցան ամաս, հոմ
մատո այսեւամ յաճասակլուն ոյնց պատո ունց ուլքյուրուն,
սոլա-
րակո, ՛միմունո, սուրուուլու, ատասնաւրու սագուրուն և ծո-
լուս ուսուսահայունու և աելուպա. մցունու մացալույուն յամահա,
մատ ծյերու ունասացտ ամու լասամուկուպեցլու.

947.922

gk 551



1B3